კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 12 (12828) | ოთხშაბათი, 15 იანვარი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ПРАВДА

13 იანვრის მოწინავე.

გუშინ „პრავდაში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ 1964 წლის 10 თებერვალს მოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმის განსახილველად შეტანილია საკითხი: „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესი გადიდებისათვის“. მომხსენებლად დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. პ. ვოლოჩენკო. ამავე საკითხზე მოკავშირე რესპუბლიკებისაგან თანამომხსენებლებად გამოწვეულ სოფლის მეურნეობის მინისტრები.

ცნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მოწვევის შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს ეძღვნება, დიდი ქმაყოფილებით შეხვდება ყველა კომუნისტი, მთელი ხალხი. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ უდიდეს შუშაობას სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, რასაც მტკიცედ და თანამიმდევრულად ჰხორციელებს სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

ჩვენი პარტია უდიდესი ენერგიითა და მიზანსწრაფულობით წარმართავს საბჭოთა ხალხის მეცადინეობას სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა, რომელიც ერთი თვის წინათ გაიმართა, შეიმუშავა ქიმიური ინდუსტრიის განვითარების, სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის, მინერალური სასუქებისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების გრანდიოზული გეგმები. ყველა ხაბჭოთა ადამიანი დიდი აღფრთოვანებით შრომობს ამ გეგმების განხორციელებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც 10 თებერვალს არის მოწვეული, ახალი დიდმნიშვნელოვანი რგოლი იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებაში. პლენუმი განიხილავს სოფლის მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებს, შეიმუშავებს კონკრეტულ ღონისძიებებს მიწის, მინერალური სასუქების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე პრაქტიკის დანერგვისათვის წარმოებაში. დეკემბრის პლენუმზე პირველ პლანზე იდგა სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი ბაზის — მინერალურ სასუქების გამოშვების გადიდების საკითხი. ახლა ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე საუბარი იქნება იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ უკეთ უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც ქიმია უსახავს სოფლის მეურნეობას, რა უნდა გავაკეთოთ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის სერიოზული გაუმჯობესებისათვის, რა პრაქტიკული ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის კურსი, რასაც პარტია ახორციელებს, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის პროგრამის შესრულება მოითხოვს სოფლის მეურნეოთა კოლეგ მეტ მეცადინეობას, ცოდნასა და უნარს თვითეული ჰექტარი მიწის ეფექტიანად გამოყენებისათვის ბრძოლაში.

„ახლა ის ამოცანა, რომ უზრუნველყოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, ხოლო მოეწველობისა — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე, — აღნიშნავს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — უნდა გადაიჭრას არა ფართობების გადიდების გზით, არამედ არსებული მიწების უკეთ გამოყენების, მინერალური სასუქების გამოყენების, მეცნიერების მიღწევათა, საუკეთესო ჯიშების მცენარეთა ფართოდ დანერგვის, უფრო პროდუქტიული ჯიშების ცხოველებისა და ფრინველის გამოკვანის გზით. ამას უნდა მოხმარდეს ჩვენი ცოდნა, ჩვენი მთავარი მეცადინეობა“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის რომ ემზადებიან, პარტიული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცინ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებას მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საერთო მოსავლის ზრდისათვის.

გუშინ „პრავდაში“ დაბეჭდა ცნობა კიევის ოლქის კაგარლიკის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა პატრიოტული თაოსნობის შესახებ. მათ გულდასმით გათვალისწინეს თავიანთი შესაძლებლობანი და განსაზღვრეს, თუ რის გაკეთება შეუძლია მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის საფუძველზე თვითეულ მეურნეობას მარცვლის და სხვა პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. სასუქების უნარიანად გამოყენება, ტექნიკის უკეთ გამოყენება, მეცნიერების მიღწევებისა და შუქურების გამოცდილების ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში შესაძლებლობას მისცემს კაგარლიკის სამმართველოს მშრომელებს უკვე მიმდინარე წელს მკვეთრად გაადიდონ მინდვრების ნაყოფიერება, ხოლო ორი წლის განმავლობაში მიაღწიონ მარცვლისა და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის 1970 წლის მიჯნებს.

ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი ჭეშმარიტად აუოსაზღვრელია. ეს ასობით და ათასობით მაგალითით ცხადყვეს მოწინავე მეურნეობებმა, სოფლის ნოვატორებმა, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უნიშვნელოვანესი ამოცანაა მათი გამოცდილება შეასწავლონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, აამაღლონ მათი ეკონომიკა მოწინავეთა დონემდე. ყველაზე დიდმნიშვნელოვანია შევარჩიოთ ამ მეურნეობებში გამოცდილი ორგანიზატორები, ნამდვილი ენთუზიასტები, რომლებსაც სწამთ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა სწრაფი აღმავლობის საქმე და ხალისით ჰკიდებენ ხელს ამ საქმეს.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია, ქიმიის ფართოდ დანერგვა ახალ, მაღალ მოთხოვნებს უყენებს წარმოების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებს, სოფლის ყველა მშრომელს. უნდა გამოვიყენოთ ზამთარი იმისათვის, რომ ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანს შევასწავლოთ მინერალური სასუქების უნარიანად გამოყენება, მოვაწყოთ აგრონომების, ყველა სპეციალისტის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

ძირეული საკითხია მიწის სწორი, რაციონალური გამოყენება. პარტიული ორგანოები, საწარმოო სამმართველოები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით განსაზღვრონ კონკრეტული გზები, თუ როგორ გაადიდონ მარცვლის — მთელი სოფლის მეურნეობის საფუძვლის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი. დღეს მთავარია მივიღოთ უკეთესი მოსავალი სახნავ-სათეს მიწებზე.

დიდი ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის, კარგად მოვიფიქროთ, თუ რა გზით უნდა აწარმოონ თვითეულ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, სამმართველოში საფურაჟე მარცვალი და წვნიანი საკვები. უნდა გავიხსენოთ, რომ, თუ არ გვექნება სიმინდის, შაქრის ჭარხლის, პარკოსნების უხვი მოსავალი, არ შეიძლება საკმარისად უზრუნველვყოთ პარუტყვი საკვებით.

ხოფლის მეურნეობის მუშაკებს ამ დღეებში ბევრი დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე აქვთ. შემოდგომაზე უხვი მოსავალი რომ აიღონ, კარგად უნდა იზრუნონ დღეს. ეჭვი არ არის, რომ ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენთუზიაზმის ახალ მძლავრ აღმავლობას გამოიწვევს. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სათათვეში ჩაუდგნენ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაბის პოლიტიკურ და შრომითს აქტიურობას, წარმართონ იგი პრაქტიკული ამოცანების განხორციელებისათვის. დღეგანდელი დამკვრელური შრომა მდიდარი ნაყოფია შემოდგომაზე. უკეთ მოვემზადოთ მინდვრის სამუშაოებისათვის, დროზე და კარგად შევაკეთოთ ტექნიკა, გავწმენდოთ თესლი, დავაგროვოთ მეტი სასუქი, წარმატებით განვახორციელოთ პირუტყვის გამოზამთრება, შევასწავლოთ ადამიანებს შრომის მოწინავე ხერხები, შევიარაღოთ ისინი აგროქიმიის ცოდნით — ყველა ეს გადაუდებელი საქმე პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სოფლის ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, რომლის განვითარებასთან, როგორც ცნობილია, უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობა, — კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი უბანია. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხების განხილვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ახალი მკაფიო დადასტურებაა პარტიის მიზანსწრაფული საქმიანობისა სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, პარტიისა და მთავრობის უდმივი ზრუნვისა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. დე კიდევ უფრო მძლავრად გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება ქალაქად და სოფლად! ახალი შრომითი წარმატებებით შევეგებოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს!

შრომითი საჩუქრები

რუსთავი. (საკ. კორ.). მიუხედავად იმისა, რომ ახალწლის პირველ დღეებში ბუნებრივი გაზის სიმცირის გამო ადგილი აქვნდა შეფერხებას, რუსთავის მეცემენტეებმა მაინც შეძლეს წარმატებათა მოპოვება. აქ პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულ იქნა 500 ტონა ცემენტი. წარმატებით შესრულდა ფიბროლიტისა და კრამიტის გამოშვების დავალებებიც.

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივმა გასული სამეურნეო წელი წარმატებით დამთავრა და სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მისცა 8.049 ცალი ელექტროავტომატი. ახალი სამეურნეო წლიდან ქარხნის კოლექტივი, დგას რა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, დღითიდღე აძლიერებს მუშაობის ტემპს და ზრდის პროდუქციის გამოშვებას.

იანვრის პირველ დეკადაში უკვე გამოშვებულია ა-3161 ტიპის 5.500 ცალი, ხოლო ა-3124 ტიპის 4.500 ცალი ელექტროავტომატი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და მუშაობის საუკეთესო მაგალითებს აძლევენ მექანიკურ-დამამზადებელი და ამწყობი საამქროები, რომლებსაც ბ. ბეეუაშვილი და ლ. ჩიკვაძე ხელმძღვანელობენ. წარმოების ნამდვილი შუქურები არიან და დავალებას ორმაგად ასრულებენ ბრიგადები, რომლებსაც რუსია, ჯახუტაშვილი, გალდავაძე და ჩხენკელი ხელმძღვანელობენ.

მოსკოვი. სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ფოტო ვ. ეგოროვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ფიდელ კასტრო რუსი იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში

სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი 14 იანვარს იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და შეამკო გვირგვინით. გვირგვინის ლენტზე წარწერილია: „დიდ ვ. ი. ლენინს რევოლუციური კუბელი ხალხის სახელით. ფიდელ კასტრო“. კუბის ეროვნულ გმირთან ერთად მავზოლეუმში იყვნენ მაიორები პედრო მირეტი, ალდო სანტამარია, რენე ვალეიხო, აგრეთვე კუბის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში მანუელ გარსია ფუენტესი და კუბის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

ფიდელ კასტროს თან ახლდნენ საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ნ. ნ. მესხიცევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ვ. ი. ბაზიკინი და თ. თ. მოლოჩკოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი. (საკდესი).

ნაძვისხის დღესასწაული კრემლში

მოსკოვის, საბჭოთა კავშირის ქალაქებისა და სოფლების 150 ათასზე მეტი პიონერი და მოსწავლე, საზღვარგარეთელი სტუმრები დასხდნენ სადღესასწაულო ნაძვისხეს კრემლის დიდ სასახლესა და მოსკოვის კრემლის სამალავი კოშკის ბაღში. ღირსშესანიშნავი იყო 14 იანვარი იმათთვის, ვინც სამალავი კოშკის ბაღში მოვიდა. მხიარულად გაატარეს დრო ბავშვებმა. თოვლის ბაბუა და თოვლია ფერხულში იყვნენ ჩაბმული ბავშვებთან ერთად, ხოლო ბევრი გოგონა და ბიჭუნა ჩაჯდა თითქმის ნამდვილ თვითმფრინავზე, რომელიც სამალავი კოშკის ბაღის ტრიუმფულ თაღთან დგას და მოაწყო საინტერესო მოგზაურობა ჩრდილოეთის პოლუსისაკენ.

აღტაცებითა და სიხარულით შეხვდნენ ბავშვები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და თავისუფლების კუნძულის ერთგულ გმირს ფიდელ კასტრო რუსს, რომლებიც ნაძვისხის დღესასწაულზე მოვიდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ფიდელ კასტრომ ბავშვებთან ერთად გაისეირნეს სადღესასწაულო მორთული სამალავი კოშკის ბაღში. კუბელი ხალხის ბელადმა ნაძვისხის დღესასწაულის მონაწილეებს კუბელი ბავშვების მხურვალე სალამი გადასცა. გოგონებმა და ბიჭუნებმა სთხოვეს ფიდელ კასტროს უამბოს თავისუფლების კუნძულის ბავშვებს, თუ რა მხიარულად და კარგად გაატარეს მათ დრო. (საკდესი).

მიღება სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

14 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა მიიღო მოსკოვში მყოფი შეიცარიის შრომის პარტიის გენერალური მდივანი ამხ. ეოოგი და შეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ბოდენმანი და მეგობრულად ესაუბრა მათ. (საკდესი).

შესანიშნავი გამარჯვება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ღ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულთადად მიულოცეს უზბეკეთის ენერგეტიკოსთა კოლექტივებს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება — რესპუბლიკის ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეების ამოშვება. დასახულ ვადაზე ადრე დამთავრდა მძლავრი ანგრენის რაიონული ელექტროსადგურის მშენებლობა. ვადაზე ადრე გადაეცა საექსპლოატაციოდ პირველი 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგეტიკული ბლოკი ტაშკენტის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში და დიდი ენერგეტიკული აგრეგატები ნავოის, ტახიატაშის ელექტროსადგურებში. ეს როგორც აღინიშნა ლია მისალმებაში, დიდი წვლილია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის პირველ რიგში მგბმბეობისა და ქიმიური მრეწველობის ელექტროფიკაციის შემდგომ განვითარებაში.

(საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საბჭოთა კავშირის კომკავშირელებისაგან, ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილისაგან

ზენ, მშობლიურო პარტიავ, უსაზღვრო სიყვარულისა და ვალეური მადლობის გრძნობით მოგმართავს კომუნიზმისათვის მილიონობით ახალგაზრდა მებრძოლი. დღეს ჩვენ განსაკუთრებით მკაფიოდ და რეალურად ვხედავთ ჩვენს მომავალს, გვინდა მოვიახლოოთ იგი და ამას ვამბობთ მთელი ხმით, კომუნისტების პარტია ყოველთვის ფრთებს ასხამდა ჩვენს ოცნებას, გვისახავდა მაღალ მიზანს, თავის ახალგაზრდა ცელას ავალებდა დიდმნიშვნელოვან და პასუხსაგებ საქმეებს. ვიწრო ლიანდაგიდან, რომელსაც პაველ კორჩაგინის წითელვარსკვლავანი თანტოლები ამენებდნენ, დაიწყო ახალგაზრდების შრომითი საგმირო საქმეების დიდი გზა. ამ გზაზეა დნეპრჰესი და ამირის კომსომოლსკი, ახალი შახტები და მეტალურგიის გიგანტები, ყამირის საბჭოთა მეურნეობები და ბრატსკის ჰიდროსადგური. პარტიის ყურადღება, პარტიის ხდობა გუშინდელ გოგონებსა და ბიჭუნებს ზრდის ძლიერ და მამაც ადამიანთა სულ ახალ და ახალ თაობებად, რომლებიც სულითა და გულით კომუნიზმის საქმის ერთგულნი არიან.

დღეს ჩვენ შთაგონებული ვართ ახალი საქმეებისათვის, რომლებისთვისაც მოგვიწოდა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა.

ყველა ჩვენგანისათვის დეკემბრის პლენუმი, მისი გადაწყვეტილებანი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლები დამჯერებელი დასტურებია პარტიის ბრძნული, მიზანმიმართული საქმიანობისა სკკპ ისტორიული პროგრამის შესრულებისათვის, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო. კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა, ისე როგორც მთელი ხალხი, ერთსულოვნად იწონებს კომუნისტური პარტიის კურსს — ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების კურსს.

ჩვენი პარტია მთელი თავისი საქმეებით მკაფიოდ ცხადყოფს ერთგულებას იმ ლენინური ანდერძისადმი, რომ მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ ეკონომიკა კომუნიზმისათვის ბრძოლის მთავარი ასპარეზი ხდება. ლენინის პარტია მთელ თავის საქმიანობას მეცნიერულ საფუძველზე აგებს და გამდის როგორც მძლავრი რევოლუციური ძალა ახალი სამყაროს შენებლობაში. ჩვენ უზომოდ ვამყობთ და ბედნიერი ვართ, რომ წინ მიგვიძღვის ბრძენი, დიადი ლენინის-პარტია!

ფართოდ მიაბიჯეს საბჭოთა ხალხი მომავლისაკენ. გასულ წელს ჩვენმა ქეყანამ მიიღო თითქმის სამჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე ათი წლის წინათ. ხატოვნად რომ ვთქვათ, ბუმბერაზის გვერდით, როგორიც იყო ჩვენი ინდუსტრია 1953 წელს, ათწლეულში აღიმართა კიდევ ორი ასეთი ბუმბერაზი! თითქმის ერთნირად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, აშენდა 8.500 ახალი დიდი საწარმო, ახალ სახლებში შესახლდა და საბინაო პირობები გაუმჯობესა 108 მილიონმა კაცმა — ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარმა. საზოგადოებრივი წარმოების სწრაფმა ზრდამ უზრუნველყო ეროვნული შემოსავლის გადიდება 2,3-ჯერ, დახმარება და შეღავათები, რაც მოსახლეობამ მიიღო საზოგადოებრივი ფონდებიდან, 17 მილიარდი მანეთით გადიდდა.

ახლა კი ახალ გიგანტურ ნაბიჯს ვდგამთ წინ. პროგრამა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა, თავისი მნიშვნელობით გოელროს დიადი ლენინური გეგმის გვერდით დგას. ყოველ ჩვენგანს გულში ჩასწვდა ფრთოსანი სიტყვები: „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია, პლუს სახალხო მეურნეობის ქიმიზაცია“.

პლუს ქიმიზაცია!.. კომუნიზმისათვის ბრძოლაში დღეს პარტია განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებს ქიმიას. შვიდ წელიწადში ქიმიური მრეწველობის განვითარებასა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციას მოხმარდება 42 მილიარდი მანეთი. უნდა აშენდეს 200-მდე ახალი და რეკონსტრუირებულ იქნას 500-ზე მეტი მოქმედი ქიმიური საწარმო, ქიმიის განვითარების დასახული მასშტაბები უმაგალითოა მსოფლიო პრაქტიკაში. საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე პირველად გამოჰყოფს ჩვენი სახელმწიფო ასეთ დიდ სახსრებს წარმოების იმ დარგებისათვის, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის კეთილდღეობ-ს გაუმჯობესებასთან.

პარტიის პლენუმის გადაწყვეტილებათა ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია ლენინური ზრუნვით ადამიან-სათვის. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც შეიარაღდნენ ქიმიით, უფრო მოკლე ვადებში უხვად მიიღებენ ქვების პროდუქტებს, შესანიშნავი ბოჭკოს ქსოვილებსა და სინთეტიკის ფეხსაცმელს, სინთეზური მასალებისა და პლასტიკით მოპირკეთებულ მსუბუქ და ლამაზ საცხოვრებელ სახლებს. ქიმია შეგვიმსუბუქებს შრომას, გაგვიუმჯობესებს ყოფაცხოვრებას. მძლავრი ქიმიური ინდუსტრია ის წყაროა, რომელიც, როგორც მახვილგონიერულად განსაზღვრა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჩვენს წინ აღებს მატერიალურ სიკეთეთა სიუხვის კარს.

პარტიის მოწოდება კომკავშირისადმი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისადმი — კიდევ მეტი მეცადინეობა, კიდევ მეტი ენერგია მოახმარონ ქიმიური ინდუსტრიის გაკეთარებას, უფრო აქტიურად შექმნან კომუნისტური საზოგადოების მატერიალური საფუძველი — თვითეული ჩვენგანის გულს ჭვდება.

დღეს ჩვენი დამკვრელური ფრონტი დიდი ქმიია. ასეთ ათასობით ქალიშვილი და ბაბუკ- უკვე ახლა აშენებს ქიმიური ინდუსტრიის გიგანტებს. მშენებლობებზე იზრდებიან და იწრთობიან კომუნიზმისათვის ახალგაზრდა მებრძოლთა კადრები. კომკავშირის წარგზავნილთა დახმარებით მწყობრში ჩადგა ათობით დიდი ობიექტი დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მოწოდების პასუხად, იმათ შემდეგ, ვინც ყამირსა და ენისეის იყურობდა, ფოლადის მაგისტრალები გაჰყავდა საიანში, აშენებდა დონბოროსკსა და რუდნის, ქიმიის ობიექტების მშენებლობაზე წავლენ ენერგიულ, წიგნიერ, მიზანსწრაფულ ენთუზიასტთა სულ ახალი და ახალი რაზმები. ისინი მწყობრში ჩააყენებენ ყარა-თაუს ფოსფორიტების უნიკალური საბადოს სიმდიდრეებს, ააგებენ ქიმიურ კომპლექსს ვოლგისპირეთის ველიბნა, ცმბირის ტაიგასა და ხიბინის მთისწინეთში. სახალხო მეურნეობა მიიღებს ათეულ მილიონობით ტონა მინერალურ სასუქებს, მილიონობით ტონა პლასტმასებს, სინთეზურ ყაუჩუკს, ქიმიურ ბოჭკოებსა და სხვა პოლიმერულ მასალებს. ჩვენთვის გასაგებია: ყველაფერი, რასაც ჩვენი ახალგაზრდა ხელები ქმნის, განკუთვნილია უწინარეს ყოვლისა თვით ჩვენთვის, ჩვენი თაობისათვის, რომელსაც წილად ხვდა დიდი ბედნიერება — აშენოს კომუნიზმი, იცხოვროს კომუნიზმის დროს.

თვითეული ჩვენგანი გრძნობს მაღალ პასუხისმგებლობას დიდი ქიმიის შექმნისათვის. ახალგაზრდა მშენებლებს ფიზიკურ თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ის, რომ თავდადებული შრომით უზრუნველყონ ახალ საწარმოთა დროზე და ვადამდე ამუშავება, მტკიცედ იბრძოლონ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის, ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, მასალების მომჭირნეედ ხარჯვისათვის. ყველაფერი, რაც ახლა იქნება საუკუნეთა მანძილზე უნდა გვემსახუროს. ამიტომ ვაშენებთ კარგად, მტკიცედ, ლამაზად.

ახალგაზრდა მანქანათმშენებლებისათვის ქიმიის შეკვეთები ყველაზე დამკვრელური, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია. ახალგაზრდა მეცნიერები, კონსტრუქტორები, დამპროექტებლები ხელს უწყობენ საპროექტო-საკონსტრუქტორო საქმის გაუჯობესებას — აჩქარებენ ახალი მანქანებისა და ქიმიური მასალების შექმნას.

მოქმედ საწარმოებში კომკავშირელები, ახალგაზრდა მუშები და სპეციალისტები, „კომკავშირული პროექტორის“ რაზმები თავიანთ კოლექტივებთან ერთად გაორკეცებული ენერგიით ჰკიდებენ ხელს პროდუქციის წარმოების გადიდების ახალი რეზერვების გამოვლენებასა და გამოყენებას, საწარმოების სიმძლავრეთა სრულად გამოყენებას, ქიმიური პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესებას.

პარტიამ დასახა ამოცანა — გავადიდოთ მარცლის საერთო მოსავალი უახლოეს შვიდწელიწადში 14-16 მილიარდ ფუთამდე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სავსებით უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება პურზე და ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საჭირო რაოდენობით მიღება.

ახალგაზრდა მიწათმოქმედს კარგად ესმით, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საფუძველთა საფუძველია ქიმია და მექანიზაცია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირელები შეიუნელებენ კონტროლს გაუწევენ სასუქების მიტანას მინდვრებში, საკუთარი ხელით ააშენებენ საწყობებსა და საცავებს, არ დაუშვებენ სასუქების, გაფუქებას. მტკიცედ დაეუფლებიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

ჩვენ გვახსოვს პარტიის განაწესი, რომ სასუქებს უხვი მოსავალი მოჰყვება. სარატოვის ოლქის კოლმეურნეობა „რეფლექტორის“ კომკავშირელთა მაგალითსამებრ ახალგაზრდა კოლმეურნეები, სპეციალისტები და საბჭოთა მეურნეობების მუშები უფრო აქტიურად დაეუფლებიან აგროქიმიის ცოდნას, ხელს შეუწყობენ ნიადაგის რუკების შედგენას, შეისწავლიან მოწინავეთა გამოცდილებას, რათა თვითეული კილოგრამი სასუქი რაციონალურად იყოს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მხარს უჭერს რა უზბეკეთის კომკავშირის თაოსნობას, სოფლის ახალგაზრდობა ეცდება უკეთ გამოიყენოს სარწყავი მიწები, ფართოდ გაიჩაღოს შეჯიბრებას უხვი მოსავლის მოყვანისათვის სარწყავ მინდვრებში.

ჩვენი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა მეომრები კვლავაც ფხიზლად იდგებიან თავიანთი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე, ყოველი ღონისძიებით გააძლიერებენ სიფხიზლეს და ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მზადყოფნას.

ისინი მტკიცე კავშირს დაამყარებენ დიდი ქიმიის საწარმოებთან, სახოგადოებრივ საწყისებზე შეისწავლიან სპეციალობებს, რომლებიც საჭიროა ქიმიურ მრეწველობაში მუშაობისათვის, და თადარიგში დათხოვნის შემდეგ მზად არიან ჩვენი პარტიისა და ლენინური კომკავშირის მოწოდებით გაემგზავრონ კომუნიზმის დამკვრელურ მშენებლობათა ასაგებად.

სკოლის მერხზე, სტუდენტთა აუდიტორიებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ქალიშვილები და ჭაბუკები ემზადებიან გახდნენ კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები. ამისათვის ჩვენ კიდევ უფრო გულმოდგინედ დაეუფლებათ ცოდნას, საწარმოო ჩვევებს, უფრო ღრმად შეეისწავლით ქიმიას — მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე რევოლუციურ დარგს.

ახალ გზას უჩვენებენ ახალგაზრდობას ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ჩვენთვის არ არის იმაზე უფრო ძვირფასი ჯილდო, ვიდრე პარტიის ნდობა, იმაზე უფრო მაღალ შეფასება, ვიდრე აღიარება ჩვენი წვლილისა საერთო-სახალხო საქმეში. ჩვენ ფრთას გვასხამს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მამობრივი დალოცვა:

„ყოველთვის, როცა პარტია და საბჭოთა ხალხი იწყებენ კომუნისტური მშენებლობის დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას, ისინი მიმართავენ კომკავშირს, ყველა საბჭოთა ქალიშვილსა და ჭაბუკს...

დღეს ჩვენ კვლავ მიგმართავთ ახალგაზრდობასა და კომკავშირს. ამხანაგებო, თქვენ კარგად შრომობთ შვიდწლედის მშენებლობებზე, ქიმიური ინდუსტრიის მშენებლობებზე. პარტიას სჯეროდ მიაჩნია, რომ თქვენ მეტი ძალღონე. მეტი ენერგია მოახმართ ქიმიური ინდუსტრიის მშენებლობას“.

ჩვენ საზეიმოდ აღუთქვამთ მშობლიურ პარტიას — საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობა არ გიმტყუნებს, პირნათლად შეასრულებს ამ ახალ საპატიო დავალებას. ამოცანებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა დასახა, პირდაპირი დამოკიდებულება აქვს თვითეულ ჩვენგანთან, მიუხედავად იმისა, სახალხო მეურნეობის რა დარგშა ვმრომობთ. არც ერთი ჩვენგანი არ დაუშვებს ძალღონესა და ენერგიას

პარტიული ცხოვრება

ახალი მიჯნებისაკენ

პარტიული კომიტეტი და წარმოება

ახალი წელი საჩხერის საწარმოო სამმართველოს მშრომელთათვის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისათვის, იყო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მნიშვნელოვან წარმატებათა წელი. პარტიული ხელმძღვანელობის საწარმოო პრინციპის მიხეედვით გარდაქმნამ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განხორციელდა, ნათლად დაადასტურა ამ ღონისძიების აუცილებლობა, დროულობა, სიცოცხლისუნარიანობა.

მუშაობის ახლებურად გარდაქმნამ პარტიული კომიტეტისაგან მოითხოვა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მკვეთრად გაძლიერება. პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და აქტივობის ზრდა, სიზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკის საარსებო საკითხების წარმატებით გადაჭრისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ამაღლება. საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმაც თავიანი მოღვაწეობა სწორედ ამით დაიწყო. შევარჩიეთ და საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე გავგზავნეთ პატიოსანი, მცოდნე, გამოცდილი ორგანიზატორები, რომელთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებია.

განსაკუთრებული უურადღება მივაქცეთ ეკონომიურად სუსტი და ჩამორჩენილი კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცებას. ასეთი მეურნეობები კი ცოტა: როდი იყო. 1962 წლის შედეგების მიხედვით საჩხერის საწარმოო სამმართველოს 54 საზოგადოებრივი მეურნეობიდან ეკონომიურად სუსტ მეურნეობად ითვლებოდა 27, ანუ საერთო რიცხვის ნახევარი. შევცვალეთ 14 უფროსი, უუნარო ხელმძღვანელი, რომლებიც აუძლურებდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. გარდა ამისა, გავათავისუფლეთ ბევრი ბრიგადირი და ფერმის გამგე, რომელმაც თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას.

მთელი საქმე რომ დამოკიდებულია ადამიანებზე, ხელმძღვანელებზე, ამას ამტკიცებს საჩხერის მეკვანახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ბ. საყვარელიძე, პარტკომის მდივანი ა. გულიაშვილი), სოფელ ჩიხის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. აბრამიშვილი, პარტბიუროს მდივანი ნ. კაპანაძე), ორღულის ყდანაღის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ჭიღლაძე, პარტბიუროს მდივანი გ. ტეფნაძე), საირხის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე შ. კუტრანაძე, პარტბიუროს მდივანი გ. იაკობიძე), სავანის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ს. ღონდაძე, პარტბიუროს მდივანი ს. გიფრინდაშვილი), ხრეითის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. ჯაფარიძე, პარტბიუროს მდივანი ჰ. ტაბატაძე), ქვაცხის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ლ. ჩუბინიძე, პარტბიუროს მდივანი ბ. ბრეგვაძე) და სხვა მეურნეობათა მუშაობის მაგალითი. ამ მეურნეობაში უკანასკნელ წლებში უხვ, მყარ მოსავალს იღებენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორების შ. ჭიხარიას, უ. ჩიკვილაძის, გ. სუთიძის, გ. მაკარაშვილის, ს. იაკობიძის, საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორების ი. ფხალაძის, ა. ზაბახიძის, სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსის კ. ნოხაძის და სხვათა ენერგიული, საქმიანი ხელმძღვანელობა, კიდევ მთ ხელი შეუწყეს საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას.

ამასთანავე საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ შარშან ჩვენი საწარმოო სამმართველო რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ისრულებდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების კვარტალურ გეგმებს, რისთვისაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საჩკერ აღინიშნა ამ მიმართულებით „მისი კარგი მუშაობა.

თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა ხელიდან გაუშვეს მრავალ-სამმართველომ ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდა ხორცის, რძისა და კვერცხის ძიყიდვის წლიური გეგმები, ამასთან წინა წელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 702 ცენტნერით მეტი ხორცი და 2.544 ცენტნერით მეტი რძე. ასევე გადაჭარბებით შესრულდა ხილის, ბოსტნეულისა და ტყავნედლეულის დამზადების წლიური გეგმები.

ამასთანავე საგულისხმოა აღვნიშნოთ, რომ შარშან ჩვენი საწარმოო სამმართველო რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ისრულებდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების კვარტალურ გეგმებს, რისთვისაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სამჯერ აღინიშნა ამ მიმართულებით „მისი კარგი მუშაობა.

თვითკრიტიკის წესით უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა ხელიდან გაუშვეს მრავალ-წლიანი ნარგაევების გაშენების ხელსაყრელი ვადები, რის გამო ადრე მოსულმა თოვლმა ერთგვარად შეაფერხა ამ სამუშაოთა მიმდინარეობა და მრავალწლიანი ნარგაევების გაშენებაც არახელსაყრელ პირობებში წარმოებდა.

წინასწარი მონაცემები ცხადყოფს, რომ ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობათა რიცხვი გასული წლის შედეგებს მიხედვით 27-დან 18-მდე შემცირდა, ხოლო 1964 წლისათვის ეს რიცხვი მინიმუმამდე დავა.

ახალ წელზე დიდ იმედებს ვამყარებთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი მიღწევებისათვის აღგვაფრთოვანა. საჩხერის საწარმოო სამმართველოს მშრომელებს ღრმად სწამთ, რომ ქიმიზაცია სოფლის მეურნეობისათვის მძლავრი ფრთებია, რომლის საშუალებით იგი ახალ და სიმაღლეზე ავა. ამიტომ საჩხერელებმა გადაწყვეტეს დაიმეგობრონ ქიმია, მოაწყონ მისი საყოველთაო-სახალხო შესწავლა, დაეუფლონ მისი გამოყენების თანამედროვე წესებს. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობასთან და მათ შორის საჩხერის მეკვანახეობის საბჭოთა მეურნეობასთან, საირხის, არგვეთის, სავანის, სხვატორის, ჭალის, ხრეითისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებთან შეიქმნა აგროქიმიური სკოლები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები. სკოლების სასწავლო პროგრამები ისეა შედგენილი, რომ კოლმეურნეები მალე ღრმად დაეუფლონ ქიმიის ცოდნის მინიმუმს, კარგად შეისწავლონ ქიმიური სასუქებისა და შხამქიმიკატების ეფექტური გამოყენების წესები და ამის საფუძველზე 1964 წელსვე მნიშვნელოვნად გაზარდონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, აამაღლონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში! — ამ დევიზით მუშაობენ ახლა რაიონის მშრომელები. აგიტატორები, პროპაგანდისტები, მომსაუბრეთა ჯგუფის წევრები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები მშრომელებს ღრმად აცნობენ პლენუმის მასალებს. ისინი ფართოდ იყენებენ თვალსაჩინო საშუალებებს.

ქიმიის განვითარება მთელი ხალხის საქმე უნდა გახდეს, — ამბობდა ნ. ს. ხრუშჩოვის ეს მოწოდება ახალი ისტორიული ეტაპია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. მაგრამ იგი არა მარტო წარმატაცი მომავლის პიროობაა, არამედ ძნელი ამოცანების გადაჭრის აუცილებლობის წინაშეც დგაყენებს.

ზონა პლანზე ამჟამად სოფლის მეურნეობის ქიმიზაციაა წამოწეული. ეს გასაგებიც არის: მაღალი მოსავალი ხალხის დოვლათის, მისი კეთილდღეობისა და, შეიძლება თქვათ, კულტურის დონის პირველი მაჩვენებელია. ცხადია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის პრობლემა არა მარტო სასუქების მძლავრი ქარხნების მშენებლობის, არამედ ამ სასუქების სწორად გამოყენების საკითხებსაც მოიცავს. მიწათმოქმედები ხომ ის რთული დარგია, რომელიც ძხოლოდ უნარიანის მიმართ იჩენს გულუხვობას. სასუქებმა უნდა გააქარწყლოს სტიქიური ძალების მიმართ შიში.

მაგრამ XX საუკუნის ეს მართლაც და „ქიმიური რევოლუცია“ გულისხმობს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის, უწინარეს ყოვლისა — მძიმე მრეწველობის ქიმიზაციას. წარმოების პროგრესი ჯერ კიდევ კ. მარქსის მიერ იყო განსაზღვრული როგორც მექანიკური მეთოდების თანდათანობით შეცვლა ქიმიური მეთოდებით.

რა ღრმა წინასწარხედვაა ამ განსაზღვრაში! მაგრამ იგი ფანტაზიაში არ გადადის. ქიმიკოსები, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან თანამგზობრობით, რეალურად ეუფლებიან „უმანქანო“ საწარმოო პროცესებს. უკვე შექმნილია ქიმიური (უფრო ზუსტად — ელექტრო-ქიმიური) დანგები, რომელთაც უკეთესი მახასიათებლები აქვთ, ვიდრე თანამედროვე მექანიკურ დანადგარებს.

ამგვარად, სწორედ ქიმიის განვითარება აახლოებს იმ დროს, როდესაც უზარმაზარი ხმაურიანი, თანამედროვე ტექნიკისთვის შეუფერებლად მცირე წარმადობის მქონე მექანიკური მანქანები შეიცვლება უხმაურო, კომპაქტური და მაღალი წარმადობის მქონე დანადგარებით. დავიწყებას მიეცემა ჭუჭყიანი და მბოლავი საამქროები და ქარხნები. მათ ნაცვლად გვეძნება სუფთა ავტომატიზებული რაციონალური საწარმოები — მწვანეში ჩაფლული ქიმიური კომბინატები, რომლებისთვისაც უცხო იქნება უსარგებლო ნარჩენები, მათი გარემო მიდამო, წყალი და ჰაერი ისევე სუფთა იქნება, როგორც ბუნების წიაღშია.

ქიმია არა მარტო ამრავლებს მატერიალურ დოვლათს, არამედ ფრთებს ასხამს ადამიანის დიდი ხნის ოცნებასაც — ქმნის მეორე, მანამდე არარსებულ ბუნებას. საოცარი სიტალება (დაიხსომეთ ეს სიტყვა), ყოველისშემძლე პოლიმერები (ორგანული და არაორგანული), უსუფთავესი მასალები (ჩვეულებრივზე ასჯერ უფრო მტკიცე ლითონებისა და მანამდე წარმოუდგენელ თვისებათა მქონე მასალების მიღების შესაძლებლობებს რომ სახავს) და სხვ. მაგრამ ქიმიის ტრიუმფი მაინც იქნება ბუნების ყველაზე დიდი საიდუმლოების — ფოტოსინთეზის დაუფლება! ტყუილად არ აყენებდა ამ პრობლემას დიდი მეცნიერი და ჰუმანისტი ფრედერიკ ჟოლიო-კიური ატომგულური ენერგიის გამოყენების პრობლემაზე მაღლა!

აი რატომ არის, რომ ამ ძველი, მაგრამ, მუდამ ახალგაზრდა მეცნიერების დაუახასიათებლად არ იშურებენ ეპითეტებს. მ. გორკი მას „საოცრებათა ქვეყანას“ უწოდებდა, სხვები — გულუბოვა და შემძლე დეკვმირს, ან კეთილ ჯადოქარს. იგი მრეწველობის ფუნდამენტია, ჯანმრთელობისა და ახალგაზრდული ენერგიის ხანგრძლივად შემბარჩუნებელი, მავნებელთა შემმუსვრელი და კეთილის გამამრავლებელი. ქიმიის სიდიადე კიდევ იმაშია, რომ რაც უფრო ეუფლება ადამიანი მის რაობას, მით უფრო ღრმა აზრი ეძლევა თვითეულ ამ ეპითეტს.

ყოველი დარგის წინსვლისათვის საჭიროა, რომ მეცნიერული კვლევა უნათებდეს მას გზას. პროგრესის აუცილებელი პირობაა მეცნიერული მიღწევის აწრაფდ დანერგვა პრაქტიკაში. მაგრამ ქიმიის ესა თუ ის მოხაპოვარი რომ ირწმუნონ — ახალი მეთოდი იქნება ის, თუ მანამდე უცნობი თვისების მქონე მასალა, იგი ჯერ კარგად უნდა „დაინახო“.

ამისათვის ყოველი ახალი აზრი ამჟამად სამ და მეტ საფეხურიან გამოცდას გადის (ლაბორატორიული კვლევა, მსხვილლაბორატორიული შემოწმება, ნახევრად-საქარხნო გამოცდა და ბოლოს — სამრეწველო დანერგვა). ფიზიკოსები ამ მხრივ გაცილებით წინ წაეიდნენ — ლაბორატორიაში მიგნებულის პირდაპირ საქარხნო დანერგვასაც არ ერიდებიან, ზოგჯერ მსჯაბნის მილიონჯერ გადიდებით! ეს არა მარტო ამ დარგის სპეციფიკაზე, არამედ მოდელირებისა და გათვლის საიმედოობაზე მიგვითითებს.

არის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი — ლაბორატორიების აღჭურვილობა თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ქიმიური მეცნიერების წინსვლისათვის აუცილებლებია ახალგაზრდა ქიმიკოსების მათემატიკური საგნების ცოდნის აოხანალი გაცილებით დიდი იყოს. იშვიათ გამონაკლისს გარდა, ისინი არა მარტო ფიზიკოსებივით ვერ ფლობენ უმაღლეს მათემატიკას, არამედ კვლევის ჩვეულებიც არა აქვთ საკმარისად ათვისებული. მოდელირების ტექნიკის საფუძველზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია!

საბოლოოდ, ისევ ვუბრუნდებით, კერძოდ, ქიმიურ სპეციალობათა სასწავლო პროგრამების დახვეწის საკითხს, რაზეც ბევრჯერ ყოფილა მსჯელობა. ვიდრე ჩვენს სამეცნიერო ლაბორატორიებში არ დამკვიდრდებიან ფიზიკურ-ქიმიური პროცესების მოდელირებისა და უმაღლესი მათემატიკის საფუძვლებს კარგად დაუფლებული ახალგაზრდები, რომელთა მოთხოვნილება (და არა მარტო მოვალეობა) იქნება კვლევის თანამედროვე მეთოდებით მუშაობა, მანამდე საყოველთაო ქიმიზაციის საკითხების გადაწყვეტა ისევ ძველი ტემპებით იყოს. ქიმიური კვლევის ლაბორატორიებში ხშირად უნდა ვეხვდებოდეთ გამოთვლითი ტექნიკისა და კიბერნეტიკის სპეციალისტებს.

მოდელირების საქმისა და გამოთვლითი ტექნიკის მაღალ დონეზე დაყენება ქმიაში არა მარტო დროისა და სახსრების დიდ ეკონომიას მოგვცემს, არამედ სრულყოფილი ერთსაფეხურიანი და უუყვეტი რაციონალური ქიმიური პროცესების გამონახვასა და დანერგვასაც გაადვილებს. ეს კი მასალების მთლიანი და ყმაპლექსური გამოყენების საფუძველია, მაღალხარისხოვანი და ამავე დროს იაფი პროდუქტების გამომუშავების საწინდარი. უფრო მეტიც — ქიმიური მეცნიერების წინსვლის პირობაა.

საყოველთაო ქიმიზაცია უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საქმეა, იგი ადვილ გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ მიზნები ღირს იმ დამატებულ შრომად, რომელსაც იგი მოითხოვს.

პ. ავალიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

ქიმიის მეცნიერება — ფართო გზაზე

კომუნისტური ხასიათი

ლამაზი ადამიანი

ეემოხვევით შეეხვდი დემობილიზებულ მფრინავს ალექსანდრე სირაძეს. თუ არა ეს შემოხვევა (რომლის მადლობელიც მთელი სიცოცხლე ვიქნები), ალბათ ვერასოდეს ვერ გავიცნობდი კაცს, რომლის მსგავსი საინტერესო „ჩუმი ადამიანი“ იშვიათად მინახავს.

ვაჟკაცობა და სიყვარული ნიშნავ.

სწორედ აქ მინდა გიამბოთ ვაჟკაცობის მომადლებული ნიჭით დაჯილდოებული ამ ლამაზი ადამიანის შესახებ.

...სუფთას ჩიტის რძე არ აყლდა. თამადამ მეტისმეტი ქნა. მთელი სალამო თავისი თავგადასავლის თხრობით გული გაუწყალა ხალხს. მისი „ისტორია“ იფარგლებოდა სულ ერთი ტყვის შეპყრობით.

— დალეე ომში დაღუპული ბიჭების სადღეგრძელო!.. უთხრა თამადას კუთხეში, თავისთვის მჯდომმა სირაძემ (მთელი საღამოს განმავლობაში არც უხსენებია, რომ ისიც ომგადახდილი იყო) და ჭიქა თვითონ გაიესო.

დავლეთ. თვალებში ცეცხლი ჰქონდა, იმ წუთში ის საოცრად გულწრფელი და ძლიერი იყო.

...გვიანი დეკემბერი იდგა. რიონის ხეობაში საშინელი სისინა ქარი იცის ამ დროს. იმ დღეს კი გასაოცარი სიმშვიდე იყო. ვეებერთელა მთვარე გადმოსდგომოდა არქიელის გორიდან ქუთაისს. მოთოვსო, თქვა მან.

ქუჩას ნელა გავყევით...

თეთრ ხიდზე „ცისფერ კაფესთან“ გავჩერდით. რიონი თეთრ ქვებს შუა მიედინებოდა. ჩემი თანამგზავრი ჩუმად იყო... ნეტა რას ფიქრობს?..

— ფრონტზე იყავით?.. — მკითხა.

— არა...

— ოო...

ეს „ოო“ გაცრუებული მოლოდინის სანაცვლოდ თქვა ალბათ.

ვიგრძენი, რომ ამ წუთში უნდოდა გვერდით ჰყოლოდა ვინმე თავისიანი. კაცი, ვინც გაუგებდა განცდილსა და ნაფიქრალს. მივხვდი, რომ რაღაცის თქმა უნდოდა... მაგრამ რა უნდა მელაპარაკოს მე... კაცს, რომელსაც ფრონტი „კომუნისტის“ რედაქციის წინ გამოკრულ ვეებერთელა ოუკაზე მინახავს მხოლოდ, სადაც პატარა წითელი და ლურჯი დროშები ეხაოცლებოდნენ ერთმანეთს.

— აი ამ ქვას „იალტის“ ქვას უძახიან!.. — მითხრა მან და ხიდის ქვეშ ერთ დიდ ქვაზე მიმითითა (შევატყე სათქმელი გადაფიქრა, და შეეწუხდი).

— აი იმ ქვას კი „ორ ქვას“, იქით „მეორე სიღლაა“... მახსოვს, ლეკის ბიჭები ჩტებოდნენ წყალში აი იმ სახურავიდან!.. — სხაპასხაპით დავაყარე მე. რებილიტაცია მოვინდომე, ფრონტზე არ ვყოფილვარ, მაგრამ სამაგიეროდ აქაურობის კარგად ვიცნობ-მეთქი.

გაეღიმა, — მე და სულამს სულ აქაურობაზე გვქონდა ლაპარაკი... „გახსოვს ბიჭო, გიმნაზიის ჩქერები?“, „გახსოვს, ბიჭო, გოგია მეკურტნე?.., „მოვრჩებიო ომს და კარანაძის „ფაეტონით“ გაგასეირნებ გაბაშვილის გორაზე“, — მეტყოდა სულამი და ჩაიღიღინებდა: „რა კარგია ქეიფობა გაბაშვილის გორაზე...“

კეკვეში დავმარხეთ 1943 წლის 22 დეკემბერს... მფრინავი ეყო... მერე როგორ!..

სიჩუმე ჩამოვარდა. მივხვდი, რომ სათქმელი თავისთავად მოადგა.

— ვერ მოშინელება, კატასტროფის დროს დაიღუპა, — თქვა მან და ხელები ისე გაშალა, თითქოს დაუშატა: რა გინდა, ღაც პოეტური მფრინავის პროფესიაში.

ქუთაისში ბავშვობიდანვე კარგად იცნობდნენ ალექსანდრე სირაძეს, მალე დაეუფლა სამოდელო საქმეს და ომამდე პროპელერების თლას, მარჯვე მოდელების ქეთეგის ასწავლიდა ბავშვებს... უყვარდა ეს საქმე და მთელი სულითა და გულით ეკიდებოდა მას.

ომი რომ არ დაწყებულიყო, იგი ალბათ მთელ სიცოცხლეს აქ გაატარებდა, ამ მეოცნებე ბავშვებთან... რომლებსაც ხან ჩაალოვი ეზმანებოდათ, ხან ბაიდუკოვი, ხან შირშოვი, ხან კრენკელი...

რომ ქნა... კაცი ბრძოლის ქარ-ცეცხლში იყო დღენაადგა, ბრძოლაში არაფერი მოსვლია და ჩვეულებრივი, უბრალო ფრენის დროს მოუხდა კატასტროფაო.

ჩანს, მფრინავებში „უბედურ შემთხვევად“ ბრძოლის გარეშე დაღუპვა ითვლება. მომაგონდა ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ-ეგზუპერი. თვითონ მფრინავი იყო. რა სასოწარკვეთით და სინანულით წერს ერთ თავის მეგობარზე — ღმერთო ჩემო, წარმოიდგინეთ, გიომე დაიღუპა მაშინ, როცა სამგზავრო თვითმფრინავი მიჰყავდაო!

მფრინავების „დაუწერელ კანონებში“ ბევრი ასეთი ვაჟკაცური ნიუანსი.

იმ დღეს მხოლოდ ის გავიგე, რომ ალექსანდრე სირაძე ყოფილი მფრინავი იყო, მისი მეგობარი სულამ აფრიდონიძე ფრონტზე დაიღუპა და კეკეში დამარხეს...

ალექსანდრე სირაძის ცხოვრება კაცური-კაცის ცხოვრებაა. მან საინტერესოდ იცხოვრა.

...არ არსებობს ქვეყნად ისეთი ბავშვი, რომელიც არ ოცნებობს გახდეს მფრინავი. ის ვინც ახერხებს ახალგაზრდობამდე შეინახოს ეს ოცნება — მართლაც ხდება მფრინავი.

ეი ყოველთვის იყო მეოცნებეთა ლტოლვის ასპარეზი. ამიტომ არის რა-

გამანადგურებელი მფრინავი ალექსანდრე სირაძე 1942 წელს უკვე ფრონტზე იყო.

საბრძოლო „ნათლობა“ ესკადრილიის უფროსის საბჭოთა კავშირის გმირის არსენ ვოროეეკინის მეთაურობით მიიღო.

— ყურადღება! გიახლოდებათ მტრის თვითმფრინავების დიდი ჯგუფი! — შეატყობინეს მიწიდან.

ჩვენები შეიდნი იყვნენ.

ვამოჩნდა მტრის 80 თვითმფრინავი, ბომბდამშენებს აეცოლებდნენ „მესერები“. ბრძოლა ცხარე, უთანასწორო იყო... ამ ბრძოლაში ალექსანდრემ ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

„ნათლობა“ შედეგიანი აღმოჩნდა.

მის მკერდზე მალე გაჩნდა სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი.

ომის დროს ადამიანების დამოკიდებულება ყველაზე გულწრფელია. ამიტომ ამბობენ, კაცი ჯარში ადვილად იცნობა. ყველას უყვარდა ალექსანდრე. უფროსს, უმცროსს, ამხანაგს... ახლობელისათვის თავს არ დაზოგავდა. ჰაერში გამბედავი და იმედიანი იყო.

ერთხელ (ეს იყო ყველაზე შესანიშნავი დღე მის ცხოვრებაში) ალექსანდრეს სრულიად მოულოდნელად შტაბში დაუძახეს და უთხრეს ლვოვზე ენდა გაფრინდი დასაზვერადო. ალექსანდრემ იფიქრა. მეხუმრებიანი და გაიცინა.

მეტი გზა არ არისო, რომ უთხრეს, ხელები გაშალა და დეთანხმა.

გარეთ კი... წვიმს, ცა იქცევა, წვიმს კოკისპირულად. იქით ნისლებია... და საერთოდ, რაც გნებავთ ყველაფერი მფრინავისათვის ხელისშემშლელი.

დავალება ასეთი იყო. უნდა დაეზვერა ლვოვი და გაერკვია წინწასული საბჭოთა ჯარების ადგილსამყოფელი. მეთაურს თხოვა — მარტო გავფრინდებიო. ურჩიეს ორნი წადითო, მაგრამ თავისი არ დაიშალა და მარტო წავიდა.

ლვოვთან გამოიღარა. ქალაქში შესვლა გახდა საშიში. მაინც შეეხდა, ნახა მტრის ნაწილები, რკინიგზის სადგურში გავიდა და, ტყვია დაუშინა მტერს. მერე ზევით აიჭრა და „მინსაკენ“ მოკურცხლა. დავალება შესრულებულია, სადაც არის უნდა დაჯდეს და... მიწიდან ესმის:

— აიხედე მაღლა!.. აიხედე მაღლა!

მართლაც აიხედა, და რას ხედავს, მტრის თვითმფრინავი ალყაშემორტყმულ გერმანელებს ტვირთს უყრის ზევიდან. მაშინვე გამოკიდა და... სულ რამდენიმე წუთში მტრის ცეცხლწაკიდებული თვითმფრინავი მიწისაკენ წამოვიდა...

როცა აეროდრომზე დაჯდა, მაშინ იგრძნო დაღლა, ოფლში გაღვრილი, სულ სველი იყო, თვითმფრინავს მისცევდნენ ბიჭები და თითქმის ხელით გადმოიღეს კაბინიდან.

ა. სირაძემ, როგორც მამაცმა მზვერავმა, საგანგებო დავალების სანომუშოდ შესრულებისათვის იმ დღესვე მიიღო საბრძოლო წითელი დროშის ორდენი. ეს ძალიან იმედიანად ხდება!

ომის დამთავრებამდე ერთი თვით აურე ბერლინის მახლობლად ა. სირაძის თვითმფრინავი ჩამოაგდეს. როგორც იქნა პარაშუტით უშველა თავს მფრინავმა, მაგრამ ვაი ამნაირ შველას — ტყვედ ჩავარდა. სიკვდილი სჯობდა ამ დროს ტყვეობას. აი დედასა, ჩვენები ბერლინში შედიან. ის კი... ტყვე.

გაიცა — დაიჭირეს. ისევ გაიცა, ფრონტის ხაზი გადაიარა, თავის ნაწილში დაბრუნდა. ომის დამთავრებამდე კიდევ ჩამოაგდო ორი თვითმფრინავი.

ალექსანდრე სირაძის ლაბრძოლა ანგარიშში მტრის 18 თვითმფრინავია.

...ომი დამთავრდა, სათქმელად აღვილია და რა ბიჭები გაწყვნენ... ლაზარევი, ანინი, ხალათიანი, ხოხლოვი...

ალექსანდრე სირაძე — სამი წითელი დროშის ორდენისა და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის ყავალერი მშობლიურ ქუთაისში დაბრუნდა და... რა გგონიათ, ისევ საყვარელ საქმეს დაუბრუნდა.

თითქოს ეს დღეები არც ყოფილა, თითქოს გუშინ დატოვა სამუშაო და დღეს ისევ ძველ საქმეს დაუბრუნდა.

ომი მამაკაცის ვალია, ალექსანდრემაც მოიხადა ეს ვალი და ისევ თავის საქმეს მოხედა. ამაშია მისი ძალა და ვაჟკაცობა.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა აქვე დაწყებითი სკოლის მომავალ მასწავლებლებს ასწავლის, თუ როგორ შეაყვარონ ბავშვებს შრომა. იგივე საქმეა, უბრალო, უპრეტენზიო...

სოხუმის ქუჩაზე ცხოვრობს, დაოჯახდა. შვილები მოესწრო.

მის საწერ მაგიდაზე ერთი წიგნია. განსაკუთრებით უყვარს ალექსანდრეს იგი, „კურსკის რკალის თავზე“ — ასე ჰქვია მას. ავტორია საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, მისი ყოფილი მეთაური, ა. ვოროეეკინი. წიგნს გაკრული ხელით აწერია:

„ალექსანდრე მიხეილის-ძე სირაძეს. ესკადრილიელ მეგობარს, წრფელი გულით უძღვნის ავტორი“.

ა. ვოროეეკინმა ახლა უკვე მეორე წიგნი დაამთავრა, რომელშიც ცოლად თავი სულამ აფრიდონიძესა და ალექსანდრე სირაძეს მიუძღვნა. ამ თავს ასე ჰქვია: „ორნი ქუთაისიდან“.

ამას წინათ ალექსანდრეს ისეთი სიხარული ეწვია, რომ ლამის ენა ჩაუვარდა, სულ არ მოელოდა ასეთ სტუმარს. გაღო კარი და... რას ხედავს, მიხეილ საჩკოვი, მაიორი მიხეილ საჩკოვი, მისი მეთაური და მეგობარი!

მიხეილ საჩკოვს 1944 წელს მიანიჭეს გმირობა, მას მტრის 26 თვითმფრინავი აქვს ჩამოგდებული, სხვათა შორის საქმეყნოდ ცნობილი მფრინავის მერესიევი ალმზრდელია.

სწორედ მიხეილ საჩკოვმა უთხრა ალექსანდრეს მეგობრებს: ალექსანდრე წარდგენილი იყო საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე, მაგრამ ომი მალე დამთავრდა და ამ მასალების განხილვა რატომღაც აღარ მოხდაო, შესაძლებელია ამჯერად მაინც იქნეს განხილული ეს მასალები და ვნახოთო...

ალექსანდრე კი იღიმეს, ჩუმად არის და იღიმება, მას ეს სიხარულიც ეყოფა, მეგობრებთან ყოფნა, მშვიდობიანი ცხოვრების გათვნება, ძმაკაცებში ომში დაღუპული ბიჭების მოგონება, იმ საქმის სიყვარული, რომელსაც ემსახურება.

უბრალოება ბუნების ჯილდოა, ეს უბრალო, „წყანარი კაცია“ და ამიტომ არის ლამაზი ადამიანი...

რ. დვალიშვილი.

ქუთაისი.

* * *

სურათზე: ალექსანდრე სირაძე და საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ საჩკოვი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲒᲘᲜᲔᲗᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲜᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ, ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲠᲓᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲐ ᲐᲮᲚᲘ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲛᲬᲕᲐᲠᲔ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲓᲐᲛᲢᲙᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1963 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲨᲔᲡᲐᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივა

პანამელთა სიხლე ამაოდ არ ჩაივლის

ვიეტნამელი პატრიოტები იბრძვიან

ჰარალ. დიდი ინიციატივა უწოდა საბჭოთა კავშირის წინადადებას საზღვრო დავის მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ ი. პლოიგარმა, ჩეხოსლოვაკიის სახალხო პარტიის თავმჯდომარემ. წინადადება, რომელიც წამოყენებულია ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შეხელებისა და საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრის გზაზე, ხაზგასმით აღნიშნა მან. საერთაშორისო ვითარების თანამედროვე მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს მშვიდად ვუცქიროთ მომავალს. ამიტომ საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად ეძებს სამხედრო შეტაკებათა თავიდან აცილების გზებს, სახავს მნიშვნელოვან წინადადებებს, რომელთა განხორციელება დაგვეხმარებოდა მშვიდობის განმტკიცებაში.

პარიზი. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილმა ახალი იმედები მოგვცა, რომ კვლავ გაგრძელდება საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, აცხადებს მოწინავე სტატიაში „ლუმანიტე დიმანშის“ მიმომხილველი ივ მორო. თუ მთავრობები იქირჩებენ ვალდებულებას, რომ უარს იტყვიან ძალის გამოყენებაზე საერთაშორისო დავის დროს, ნაოქვამია სტატიაში“, ეს იმას უდრის, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში აღმოიფხვრება ყოველგვარი იმი და ყოველგვარი შეიარაღებული ინტერვენცია.

ივ მორო გადაჭრით გმობს პოზიციას, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ დაიკავა. „თვითონ დე გოლი გაჩუმებულია, — წერს იგი. — მაგრამ მისი საგარეო საქმეთა მინისტრი უკვე ცდილობს შეამციროს საბჭოთა წინადადების მნიშვნელობა... ხომ თქვა დე გოლმა უარი მოსკოვის ხელშეკრულებაზე. იგი დაუნებით უცხადებს ბოიკოტს 18 სახელმწიფოს გაინიარაღების კომიტეტის მუშაობას, რომელიც 21 იანვარს განახლდება ჟენევაში. სიდნეიში მისმა შეიარაღებული ძალების მინისტრმა მესმერმა გამოაცხადა, რომ წყნარ ოკეანეში მოეწყობა ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდის სერია“.

ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს და მაშასადამე საფრანგეთის ინტერესებს, აღნიშნავს დასასრულ ივ მორო.

თეირანი. ირანის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილისადმი. თეირანის ბევრმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილის სრული ტექსტი და მსხვილი შრიფტით გამოყო ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ადგილები.

ამ წერილს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოსათვის, თქვა მეჯლისის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ დოქტორმა ზნაიმ. თუმცა ჩვენ გადაჭრილი გვაქვს სასაზღვრო საკითხები, მაგრამ ჩვენ გვსურს საყოველთაო მშვიდობა და მხარს ვუჭერთ ბატონ ხრუშჩოვის წერილს. ამ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ მას წერს იმ ძლიერი სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც შეუძლია თავისი საზღვრების დაცვა.

ირანის პარლამენტის ზედა პალატის — სენატის თავმჯდომარემ დოქტორმა შარიფ იმამმი თქვა: ძალიან კარგია, რომ მსოფლიოს ისეთი წამყვანი პოლიტიკური მოღვაწე, როგორიც ბატონი ხრუშჩოვია, თავის აზრებს საქმით ადასტურებს. რა თქმა უნდა, ყველა სადავო საკითხი, რომელთა შორის დიდი ადგილი უკავია სასაზღვრო საკითხებს, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას.

ტოკიო. ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება ტერიტორიული დავის გადასაწყვეტად ძალის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ ძალიან დროულია, განაცხადა თვალსაჩინო მეცნიერმა, საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტმა, იაპონიის ატომური იარაღის აკრძალვისათვის მოძრაობის ხელმძღვანელმა კაორუ იასუომ. ამჟამად, როცა გარკვეული ქვეყნების რევანშისტული წრეები საშიშ მოთხოვნებს აყენებენ ტერიტორიულ საკითხებში, განაცხადა მან, საჭიროა, რომ ყველა ქვეყნის მთავრობამ და ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირონ ამ წინადადებებს. საჭიროა, განაგრძო იასუომ, რომ მათ აქტიური ღონისძიებანი განახორციელონ იმისათვის, რომ აღკვეთონ ახალი ომის შესაძლებლობა ტერიტორიული დავის გამო.

ბრიუსელი. „მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ კარგი გაგრძელებაა ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი“, — თქვა უოფლმა მინისტრმა, ბელგიის პარლამენტის დეპუტატმა სოციალურ-ქრისტიანული პარტიისაგან რაიმონ შეიენმა. მინისტრმა გამოთქვა აზრი, რომ ახლა ფრიად ლოგიკური იქნებოდა გადაგვიდგა შემდგომი უფრო ენერგიული ნაბიჯი ამ მიმართულებით. (საკდესი).

საზღვარგარეთის გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის გამო

ხალხები მიესალმებიან

ინგლისის პარლამენტის მომავალი არჩევნები აიძულებს კონსერვატორთა პარტიის ლიდერებს აკეთონ სხვადასხვა ფართო დაპირება: განათლებულ, ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ტრანსპორტზე მდგომარეობას გავაუმჯობესებთ, მეტ საცხოვრებელ სახლებს ავაშენებთო და ა. შ.

სწორედ ამისადმი მიძღვნილი მხატვარ ნორმან მენსბრიჯის კარიკატურა, რომელიც გამოქვეყნებულია იუმორისტულ ჟურნალ „პანჩში“. კარიკატურაზე ვხედავთ ტიპიურ „ოჯახურ სცენას“. პრემიერ-მინისტრი დუგლას ჰიუმი დახატულია დიასახლისის სახით, რომელსაც სარეცელ კოლოფები ამოერეკა. საგარეჯოში ზის მინისტრი მოდლინგი, რომელიც ქმრის „ჩვეულებრივ“ სიტყვებს ამბობს:

— ჩინებულია, მაგრამ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ უნდა შევამციროთ ხარჯები ფუფუნების საგნებზე.

საკდესის ფოტოკორონკა.

ᲞᲐᲜᲐᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

□ თათბირი ვაშინგტონში.
□ შეიქმნა ამერიკა-პანამის კომისია.

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა გუშინ საღამოს თათბირი მოაწყო სახელმწიფო მდივნის თანაშემწესთან ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ტ. მანნან და სამხედრო მინისტრ ს. ვენსთან ვაშინგტონში მათი დაბრუნებისთანავე. პრეზიდენტთან გამართულ თათბირში მონაწილეობდნენ აგრეთვე სახელმწიფო მდივანი დ. რასკი და თავდაცვის მინისტრი მაკნამარა.

ტ. მანი და ს. ვენსი სპეციალურად გაიგზავნენ პანამაში ამერიკის საწინააღმდეგო გამოსვლებთან დაკავშირებით. ისინი შეხვდნენ ამ ქვეყნის პრეზიდენტ რ. ჩიარის და, როგორც ვარაუდობენ, გარდა სხვა საკითხებისა, განიხილეს პანამის მოთხოვნა, რომ შეიცვალოს ხელშეკრულება პანამის არხის ზონის შესახებ.

პრეზიდენტ ჯონსონთან თათბირის დროს ტ. მანმა გააკეთა „სრული მოხსენება“ პანამის მდგომარეობის შესახებ. თეთრი სახლის განცხადებაში, რომელიც თათბირის შემდეგ გაკეთდა, არის ცდა შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ესწრაფვიან განახორციელონ „კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკა“. ამ განცხადებიდან ჩანს, რომ ტ. მანმა ამერიკის ჯარების მოქმედება, რომლებმაც ცეცხლი დაუშინეს პანამელ დემონსტრანტებს, დაახასიათა როგორც „მოქმედება, რომელიც აღტაცებას იწვევს იმ პირობებში, როცა ადამიანთა ბრბოებმა უკიდურეს პროვოკაციებს მიმართეს და სნაიპერული ცეცხლი დაუშინეს არხის ზონას“. თეთრი სახლი შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს: „ამერიკის შეერთებული შტატები ვერ შეურიგდებიან იმას, რომ პანამის არხის უშიშროებას საფრთხე მოეღოდეს“.

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). როგორც ეუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთოს კორესპონდენტი ქალაქ პანამიდან იუწყება, იქ შეიქმნა ამერიკა-პანამის კომისია იმ მიზნით, რომ მოაწესრიგოს ორივე ქვეყანას შორის არსებული უთანხმოება. ამ ერთებულმა შტატებმა, აღნიშნავს კორესპონდენტი, დაადასტურეს, რომ თანახმა არიან გამოაკეთონ პანამის არხის ზონაში ამერიკის შეერთებული შტატების ალამთან ერთად აგრეთვე პანამის ალამი.

პანამა. ამერიკის ჯარები გამოიყვანეს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ. ქუჩებში უდანაშაულო ადამიანთა სისხლი იღვრება. მაგრამ ვერავითარი აგრესიული აქტი ვერ შეაჩერებს სამართლიანი საქმისათვის მებრძოლ პანამელებს.

საბჭოთა მსახიობების დიდი წარმატება

58 წარმოდგენა, 300 ათასი მაყურებელი — ასეთია ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პარიზში საგასტროლოდ ყოფნის შედეგები. საბჭოთა მსახიობების ყველა კონცერტი წარმატებით მიმდინარეობდა. უახლოეს დღეებში ანსამბლის მსახიობები პარიზიდან საგასტროლოდ ბელგიაში გაემგზავრებიან, ხოლო მოგვიანებით შვეიცარიასა და იტალიაში.

ნერუ დელიში დაბრუნდა

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ, რომელსაც ავადმყოფობის გამო ექიმები მეთვალყურეობას უწევენ, სპეციალური თვითმფრინავით დაბრუნდა დელიში ბპუბანესვარიდან, სადაც მიმდინარეობდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის 68-ე ყრილობა.

მდგომარეობა ზანზიბარში

პარიზი, 14 იანვარი. (საკდესი). ზანზიბარის ახალმა მთავრობამ აკრძალა ყოფილი მმართველი პარტიების — ნაციონალისტური პარტიისა და პემბისა და ზანზიბარის ხალხის პარტიის საქმიანობა ზანზიბარში. ზანზიბარის სულთანი სამუდამოდ გაძევებულია.

როგორც ფრანს პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი დარ-ეს-სალამიდან იუწყება, შეწყდა ყოველგვარი კავშირი კუნძულთან. ზანზიბარ ნავსადგურები და აეროპორტი დაიხურა.

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები ახდენენ ამერიკელ მოქალაქეთა ევაკუაციას ზანზიბარიდან იმის გამო, რომ „მყარი მდგომარეობა“ არ არის ამ ქვეყანაში. როგორც ასოშეიეიტედ პრესის საგაზეთო იუწყება, 63 ამერიკელიდან იქ დარჩება მხოლოდ ორი — ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა რწმუნებული და საელჩოს მესამე მდივანი. 61 კაცის ევაკუაცია ხდება ამერიკის საესკადრო ნაომანსინით „მენლით“, რომელიც ზანზიბარში ჩამოვიდა კენიიდან, სადაც ვიზიტად იმყოფებოდა. საგაზეთოს სიტყვით, ამერიკელთა ევაკუაცია ხდება ზანზიბარის ახალი მთავრობის ნებართვით.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲣᲕᲔᲠᲔᲜᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

პანამა, 14 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ლუის ალბერტო ფრანკო სანდოვალი იტყობინება:

აქ შეიქმნა სუვერენიტეტის დაცვის ეროვნული კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ პანამის ეფრანალისტთა პროფკავშირის, ადვოკატთა ეროვნული კოლეგიის, პანამის სტუდენტთა ფედერაციის, ეროვნული პროფკავშირული საკოორდინაციო კომიტეტის, მასწავლებელთა ასოციაციის, მთელ რიგ გლეხთა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კომიტეტმა 12 იანვარს მოაწყო მასობრივი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთ ათასზე მეტმა კაცმა. დემონსტრაციის მონაწილეებმა გაიარეს დედაქალაქის მთავარი ქუჩებით პრეზიდენტის სასახლისაკენ, სადაც მათი დელეგაცია მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა რობერტო ჩიარიმ. დელეგაციამ პრეზიდენტს წარუდგინა პეტიცია, რომელშიც პროტესტს აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ პანამაში და გამოთქვამს მტკიცე გადწყვეტილებას დაიცვას ეროვნული სუვერენიტეტი.

ᲨᲣᲠᲘᲡᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲗ

პანამა, 14 იანვარი. (საკდესი). ბანანის პლანტაციების „ჩირიკი ლენდ კომპანის“ (ამერიკის მონოპოლიის „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ ფილიალის) მუშებმა ხელთ იგდეს კომპანიის მთელი საქმეების მართვა-გამგეობა, იუწყება პრენსა ლატინას საგაზეთო სააგენტო. — „ჩირიკი ლენდ კომპანის“ ადმინისტრაციის თანამშრომლები, იმის შიშით, რომ პანამელები შურს იძიებენ, გაიქცნენ კოსტა-რიკაში.

ᲛᲚᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲬᲘᲤᲓᲔᲑᲝᲓᲐ

საზღვარგარეთის პრესის ყურადღების ცენტრშია ფიდელ კასტროს ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში და მხურვალე მიღება, რომელიც რევოლუციური კუბის ბელადს გაუწიეს მოსკოვში, პანამის ამბები, გადატრიალება ზანზიბარში, არაბთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების მეთაურთა კიროოს კონფერენცია.

თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები და კომენტატორები კვლავ განიხილავენ გაზეთებისა და პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს ომის შესახებ, რომ სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო კონფლიქტების გადაჭრის დროს.

დღევანდელი გაზეთების ბევრი ცნობა, სტატია მოწმობს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდად აღფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გამო პანამის წინააღმდეგ და რომ მთელი პროგრესული ძალები ფართოდ უჭერენ მხარს ამ „პატარა ქვეყნის პატრიოტებს, რომლებიც სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

დე გოლის გაზეთი „ნასიონიც“ კი აცხადებს, რომ პანამის არხის დატოვება ამერიკელთა ხელში მხოლოდ ზედმეტ „პოლიტიკურ სიძნელეებს“ ქმნის ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირეებისათვის. უ. ლიპმანი, რომელიც აანალიზებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და პანამის ურთიერთობას, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნში“ აღიარებს, რომ მღელვარება პანამაში დიდი ხანია მწიფდებოდა. მაგრამ მიმოხილველი სჯერდება დასკვნას, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უწინარეს ყოვლისა „ზუსტად უნდა დაიცვან შეთანხმება დროშების შესახებ, რომლებიც პანამის ნომინალური სუვერენიტეტის სიმბოლოა“. (საკდესი).

ᲗᲝᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲑᲣᲥᲘ

ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შტატების ტერიტორიაზე არაჩვეულებრივი ძალის თოვლიანი ქარბუქი იყო. ქარის სიჩქარე 40 მილს აღწევდა საათში. თოვლიან ქარბუქს თან ახლდა ტემპერატურის მკვეთრი დაწევა. რამდენიმე ფუტის სიმაღლის თოვლის ნამქერმა ჩაკლა მოძრაობა კანზასის შტატიდან ნიუ-ჯერსიმდე მიმავალ გზებზე. არის მსხვერპლი. სიცივეებისა და თოვლიანი ნამქერების შედეგად 22 კაცი დაიღუპა. (საკდესი).

ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ამბს წინათ ფაშისტმა არამზადებმა ჩიდინეს დივერსიული აქტი, დაყოვნებული მოქმედების ბომბი დადეს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის შენობის მთავარ შესასვლელთან რომში. ბომბის აფეთქებამ დიდი ზარალი მიაყენა შენობას. მბოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არ ყოფილა ადამიანის მსხვერპლი.

ათეულ ათასობით მუშამ, რომლებიც მიტინგზე შეიკრიბნენ იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის შენობის წინ, ფიცი დადო, რომ წინააღმდეგობას გაუწევენ ფაშისტთა პროვოკაციებს.

მთელი იტალიის 400 ათასზე მეტმა ფეიქარმა და მილანოს მეტალურგიულ და მანქანათაშენებელ საწარმოთა 80 ათასმა მუშამ 24 საათის გაფიცვა გამოაცხადეს თავიანთი უფლებების დასაცავად. ფეიქრები მოითხოვენ, რომ მეწარმეებმა დადონ საერთო ეროვნული კოლექტიური შრომითი შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს შრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და პროფკავშირთა უფლებების პატივისცემას. მილანოს მეტალურგები და მანქანათმშენებლები მოითხოვენ, რომ მეწარმეებმა შეასრულონ ერთი წლის წინათ ხელმოწერილი საერთო ეროვნული კოლექტიური შრომითი შეთანხმება.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐ

პორტ-ბოლგოტაში გამართულ მასობრივ მიტინგზე მანქანათმშენებელთა გაერთიანებული პროფკავშირის 1.300 ვერმა, რომლებიც „სტილ კომპანი ოფ უელსის“ საწარმოში მუშაობენ, ერთსულოვნად მიიღეს გადწყვეტილება განგრძონ გაფიცვა. გაფიცვა გამოაცხადეს ხელფასის მომატების მოთხოვნის მხარდასაჭერად.

კომპანიის ადმინისტრაცია ცდილობდა გაეტეხა მუშათა მებრძოლი სულისკვეთება და გამოაცხადა ლოკაუტი, რომლის შედეგად უმუშევარი დარჩა 25 ათასი მუშა. მაგრამ ამ მანევრს წარმატება არ ჰქონია.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

პარიზში გამართულ პრეს-კონფერენციაზე დედაქალაქის რადიოტექნიკური ქარხნის „რბვ“-ს გაფიცულ მუშათა წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს განაგრძონ ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე. ამ ქარხნის 220 მუშა, რომლებმაც ერთერთი ამხანაგის უკანონო დათხოვნის წინააღმდეგ გაილაშქრეს, მეწარმეთა თვითნებობის მსხვერპლი გახდა — ისინი აგრეთვე ყველანი ოცათხოვეს და აგერ. უ.ეე თვენახევარზე მეტია უმუშევარი არიან. მათ პროტესტს მეწარმეთა უკანონო მოქმედების წინააღმდეგ სოლიდარობის ფართო მოძრაობით დაუჭიერეს მხარი პარიზისა და თითქმის საფრანგეთის მშრომელებმა.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ქალაქ გენტის მელიორატორები განაგრძობენ ბრძოლას ხელფასის მომატებისათვის. გაფიცვაში მონაწილეობს ქალაქისა და დასავლეთ ფლანდრიის პროვინციის ორმოცზე მეტი საწარმოს ათასობით მუშა. მათ მხარს უჭერენ ბელგიის სხვა რაიონების მელიორატორები და მეტალურგები.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐ

სამხრეთ კორეის მუშათა და მოსამსახურეთა სულ ახალი და ახალი რაზმები უერთდებიან ბრძოლას ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. გაფიცვა დაიწყო კავშირგაბმულობის 18 ათასმა მუშამ, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ. ახლა სამხრეთ კორეაში მეწარმეებთან შრომითს კონფლიქტებში მონაწილეობს 136 ათასი მშრომელი.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

ოკაიამის პრეფექტურის რკინიგზების სამმართველომ გამოაცხადა, რომ სამუშაოდან დათხოვნილია მემანქანეთა პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების თავმჯდომარე კიოოსი კავამოტო. ადმინისტრაციამ დაითხოვა იგი იმისათვის, რომ მემანქანეთა გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო გასული წლის 13 დეკემბერს.

ᲒᲖᲐ — ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ

პარიზი, 14 იანვარი. (საკდესი). პოლიტიკურ ვითარებას საფრანგეთში ახასიათებს ის, რომ მთავრობა ახორციელებს საშიშ პოლიტიკას როგორც მშვიდობისა და განიარაღების საკითხებში, ისე სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში, ფეხქვეშ თელავს დემოკრატიულ თავისუფლებებს. ეს შეფასება მოცემულია მოხსენებაში, რომელიც საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ. მისი მოხსენება გამოქვეყნებულია დღეს გაზეთ „ლუმანიტეში“.

თავის მოხსენებაში ჟაკ დიუკლო შეეხო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. საფრანგეთისათვის ახლა დამახასიათებელია მსხვილი კაპიტალისტური კომპანიების მოგების მუდმივი ზრდა და მუშათა კლასის ბრძოლის გაძლიერება რეაქციული სოციალური პოლიტიკის წინააღმდეგ, პროფკავშირული უფლებებისა და თავისუფლებების ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ, თქვა მან.

ჟაკ დიუკლომ აღნიშნა, რომ სწორედ ამ პირობებში მოეწყობა მზადება მომავალი საგაზაფხულო კანტონური არჩევნებისათვის და ხაზი გაუსვა, რომ წინასაარჩევნო ბრძოლაში კომპარტია ხელმძღვანელებს მთავარი მიზნით — პირადი ხელმძღვანელობის რეჟიმი შეცვალოს ნამდვილი დემოკრატიით.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ჰანოი, 13 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე ამხილებს ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების აგრესიულ გეგმებს, რომელთა მიზანია ომის გაძლიერება სამხრეთ ვიეტნამში. განცხადებაში ნათქვამია:

შეერთებული შტატების მოქმედება სამხრეთ ვიეტნამსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ნაწილებში ამკარა პროვოკაციაა მსოფლიო საზოგადოებრიობის წინააღმდეგ, მათ შორის ამერიკელი ხალხის წინააღმდეგაც.

ეს მოქმედება სერიოზული საფრთხეა ინდოჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხების მშვიდობისა და უშიშროებისათვის, უხეში დარღვევაა ჟენევის 1954 წლის შეთანხმებისა ვიეტნამის საკითხზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა.

ამერიკის მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს უსამართლო და დანაშაულებრივ ომს სამხრეთ ვიეტნამში, ხელი აიღოს ინტერვენციისა და შეიარაღებული აგრესიის პოლიტიკაზე, საშუალება მისცეს თვით სამხრეთ ვიეტნამის ხალხს გადაწყვიტოს სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეები.

ᲡᲣᲔᲪᲘᲡ ᲐᲠᲮᲘᲗ

1963 წელს სუეცის არხში გაიარა გემების რეკორდულმა რიცხვმა — 19.146. 1955 წელს, ანუ არხის ნაციონალიზაციამდე ერთი წლით ადრე მასში გაიარა 12.168 გემმა. შარშან სუეცის არხიდან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შემოსავალი შეადგენდა 71 მილიონ ეგვიპტურ გირვანქას.

ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ

სამხრეთ ვიეტნამში უფრო ძლიერდება ომი. ამერიკელი იმპერიალისტები და მათი ადგილობრივი აგენტები, რომლებმაც შეცვალეს ნგო დინ დიემის საბოლოოდ გაკოტრებული ხროვა, თავგამოდებით ცდილობენ გატეხონ სამხრეთ ვიეტნამელი პატრიოტების ბრძოლა. ერთგული ფრონტის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მათ გამოიყენეს რეგულარული ჯარების ახალი კონტინგენტები, სასტიკად უსწორდებიან პატრიოტულად განწყობილ მოსახლეობას, ყველგან სჩადიან უკანონობას და თვითნებობენ.

სამხედრო ხუნტა, რომელმაც ვაშინგტონის დახმარებით ხელთ იგდო ძალაუფლება, წელზე ფეხს იდგამს, რომ თავისი ოკეანესგაღმეული ბატონების ნდობა მოიპოვოს. მაგრამ მისი მისწრაფება, რადაც უნდა დაუჯდეს თავის სასარგებლოდ წარმართოს ომი, დაუძლეველ წინააღმდეგობას აწყდება: პატრიოტთა წინააღმდეგობა განუხრელად იზრდება, მათი დარტყმების ძალა სულ უფრო მძლავრი ხდება. გასული წლის დეკემბრის მეორე ნახევარში მთავრობის ჯარები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ორასზე მეტი გამაგრებული პუნქტი. სრულიად ჩაიფუშა აგრეთვე დიდი ოპერაცია პარტიზანების წინააღმდეგ, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყეს საიგონის ჩრდილო-დასავლეთით. რეგულარული ჯარების ათმა ბატალიონმა, რომლებსაც ამერიკის ავიაცია უჭერდა მხარს, ვერ გაუძლო შეიარაღებულ პატრიოტთა შეტევას.

გაჯავრებასა და შეშფოთებას იწვევს ვაშინგტონში მთავრობის ჯარების სამხედრო წარმატებლობა, რომელთა შემადგენლობაში დაახლოებით 20 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოქმედებს. ამას წინათ საიგონს გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი მაკნამარა. რაც ვითარებას გაეცნო, მან საყვედური გამოუცხადა სამხედრო ხუნტას სამხედრო ოპერაციათა ჩაფუშვისათვის და მოუწოდა გააძლიეროს ყარაღური ომი სამხრეთვიეტნამელი პატრიოტების წინააღმდეგ.

პენტაგონი საფუძვლიანად იჩენს შეშფოთებას იმის გამო, თუ როგორ დამთავრდება ომი სამხრეთ ვიეტნამში. ამ ომის საწარმოებლად ამერიკის შეერთებული შტატები ყოველდღიურად ხარჯავენ 1,5 მილიონ დოლარს, წარმატების პერსპექტივები კი არ ჩანს. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა, რომელიც 15 თვეს იყო სამხრეთ ვიეტნამში, ამას წინათ განაცხადა: „მეტ წილ რაიონებში პარტიზანები ინარჩუნებენ როგორც სამხედრო, ისე ფსიქოლოგიურ ინიციატივას“. ეროვნულ მეჯლისმა ჯემს ვან ლიტონსა, რომელსაც პარტიზანების წინააღმდეგ ომის წარმოების „სპეციალისტად“ თვლიან, გამოთქვა რა რწმენა, სამხრეთ ვიეტნამში გამარჯვებას 1965 წელსაც კი ვერ მივაღწევთო, მან დასძინა: „მაგრამ თუ შევძლებთ კიდევაც დავამარცხოთ პარტიზანები, რაც ჩემი აზრით შეუძლებელია, მათ ვერ გავადევნით მთლიანად. ისინი კვლავ აჯანყდებიან“.

ამაოა ამერიკის პროპაგანდის ცდები სამხრეთ ვიეტნამის წინააღმდეგობის ძალების მოქმედება წარმოგვიდგინოს რაღაც განცალკევებული „კომუნისტური“ რაზმების თუ ჯგუფების მოქმედებად. ამერიკელ დაქირავებულთა წინააღმდეგ იბრძვის 14-მილიონიანი სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ამჟამად ეროვნული ფრონტის ძალები კონტროლს უწევენ სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. განთავისუფლებულ რაიონებში ხორციელდება მიწის რეფორმა, იქმნება სკოლები, საავადმყოფოები, ხორციელდება სხვა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები. შემთხვევითი როდია, რომ ასოშეიეიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი ამას წინათ იუწყებოდა: ეკონომიკის სოციალისტურ სისტემას, რომელიც ამ რაიონებში ხორციელდება, ხალისით შეხვდნენ ვიეტნამელი გლეხები.

პატრიოტულ ბრძოლას სამხრეთ ვიეტნამში აწარმოებენ ხალხის ფართო მასები. ამას მოწმობს შემდეგი საგულისხმო ფაქტიც. ამერიკელ მრჩევლთა ინიციატივით სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე შეიქმნა ეგრეთ წოდებული „სტრატეგიული სოფლები“, რომლებშიც ერეკებოდნენ გლეხებს, რომ უფრო ადვილად გაუწიონ კონტროლი და ხელი შეუშალონ მათს ურთიერთობას შეიარაღებულ პატრიოტებთან. ამჟამად თვით სოფლის მოსახლეობის მეცადინეობის შედეგად ასეთი სოფლების 70 პროცენტი აღარ არის „სტრატეგიული“.

რამენაირადაც რომ გამოსწოროს მდგომარეობა, სამხედრო ხუნტა, რომელსაც გენერალი ვან მინი მეთაურობს, გაფიცებიან აწარმოებს არმიის რეორგანიზაციას, შეცვალა უმაღლესი მთავარსარდალი. იგეგმება ახალი შემტევი ოპერაციები, მართალია, ნაკლები ხმაურით, ვიდრე ეს იყო პირველ ხანებში ნგო დინ დიემის რეჟიმის ლიკვიდაციის შემდეგ.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეროვნული ფრონტი არასოდეს არ ყოფილა ან შეკავშირებული და მონოლითური. იგი აერთიანებს ახლა სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის დიდ ნაწილს და დღითი დღე სულ უფრო მეტ ავტორიტეტსა და გავლენას იძენს ხალხის მასებში.

ამას წინათ ეროვნულმა ფრონტმა სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობას მიმართა ამერიკელთა ძალმომრეობისაგან თავისი ქვეყნის ხსნისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ფართო პროგრამა. მისი წინადადებაა მოაწყოს არჩევნები, შექმნას ეროვნული კოალიციური მთავრობა ყველა პარტიისა და სამხრეთ ვიეტნამის ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლებისაგან. ეროვნულმა ფრონტმა მოითხოვა შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება, სამხრეთ ვიეტნამიდან გაიყვანონ ამერიკის ჯარები და გაიტანონ სამხედრო ტექნიკა. სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის ფართო მასებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ამ პროგრამას ეროვნული ფრონტის ბანდის მეთაური ლუჩანო ლიჯო, რომელსაც ავერ უკვე რამდენიმე თვეა სდევს პოლიცია.

ᲒᲐᲜᲓᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲐ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ელადის სუნთქვა

თითქმის ერთი თვე იქნება ჩვენს დედაქალაქში გამოჩნდა აფიშები, რომლებიც იუწყებიან, რომ 17 იანვრიდან თბილისში, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გასტროლებს იწყებს ქალაქ პირეის სახელგანთქმული „ბერძნული ტრაგედიის თეატრი“. ცნობილია რეპერტუარიც, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და მთავარი რეჟისორის, კომპოზიტორისა და ქორეოგრაფის გვარებიც...

„ტრაგედიის მამა“ — ასე უწოდებდნენ ძველი ბერძენები ესქილეს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამ დიდი დრამატურგის მემკვიდრეობიდან თბილისელები ნახავენ მისი სახელგანთქმული დრამატული ტრილოგიის „ორესთეა“ მეორე და მესამე ნაწილებს. ეს არის ესქილეს უკანასკნელი ნაწარმოები, რომელშიც დასატყოა ახალი, ჭეშმარიტად დრამატული გმირი, რომელიც დიდი სულიერი ტანჯვის საფასურად გადალახავს ყველა წინააღმდეგობას და ბოლოს სიკეთისლაც კი ამარცხებს.

სოფოკლეს სახელთან დაკავშირებულია ბერძნული ტრაგედიის აყვავების ხანა. ძველი ბერძენები მას ესქილეს მოწაფეს და მეტოქეს ეძახდნენ. 468 წელს სოფოკლემ პირველად დაამარცხა ესქილე დრამატულ შეჯიბრებაში და შემდეგ 60 წლის განმავლობაში მეფობდა ანტიკური თეატრის სცენაზე, ისე რომ არც ერთი დამარცხება არ განუცდია. სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“ კარგად იცნობს ჩვენი მაყურებელი.

„ბერძნული ტრაგედიის თეატრი“ სოფოკლეს შემოქმედებიდან გვიჩვენებს „ელექტრას“. ამ ნაწარმოებში სოფოკლემ შექმნა მართალი სახე მამაცი და პატიოსანი ქალიშვილისა, რომელიც ძალის დაუზოგავად ებრძვის თავის ვერაგ დედას და მის საყვარელს, იტანჯება, მაგრამ იმარჯვებს. უაღრესად ღრმა და ფართოა ელექტრას გრძნობათა სამყარო.

ანტიკური ტრაგედიის მესამე და უკანასკნელი წარმომადგენელია ევრიპიდე. იგი სოფოკლეს თანამედროვე იყო და ამ უკანასკნელზე ადრეც გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ევრიპიდეს შემოქმედება ახალი ეტაპია ანტიკური დრამის განვითარების ისტორიაში. ევრიპიდეს ძველი ბერძნები სცენის ფილოსოფოსს უწოდებდნენ და ხალხის ასპაზია პაპატანასიუს სახით ჩვენმა ეპოქამ შეიძინა თავისი ელეონორა დუზე, საგანგებოდ შექმნილი ანტიკური რეპერტუარისათვის. მთელი მისი უდიდესი პოტენციალი, როგორც მსახიობისა, მთელი მისი შესაძლებლობანი — ხმისმიერი, პლასტიკური, სულიერი — განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ევრიპიდეს მედეას შესრულების დროს“, — წერდა ცნობილი საბჭოთა მწერალი მარიეტა შაგინიანი გაზეთ „იზვესტიის“ ფურცლებზე გასული წლის თებერვალში. მაშინ მოსკოვსა და ლენინგრადში პირველად იყო საგასტროლოდ ბერძნული თეატრი.

ქალაქ პირეის „ბერძნული ტრაგედიის თეატრი“, რომლის დირექტორი მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორია დიმიტროს რონდორისი, 1957 წელს შეიქმნა და სულ მალე მსოფლიოში გაითქვა სახელი.

თეატრის მთავარი ქორეოგრაფია ცნობილი ბერძენი მოცეკვავე და ბალეტმეისტერი ლუკოა. საგასტროლო სპექტაკლების მუსიკალური გაფორმების ავტორია კომპოზიტორი ვ. კიდონიატისი.

გუშინ „ბერძნული ტრაგედიის თეატრის“ მთელი დასი თბილისში ჩამოვიდა მოსკოვიდან (მოსკოვსა და ლენინგრადში ამჯერად თეატრი მეორედ იყო საგასტროლოდ). თბილისის აეროდრომზე სახელოვან კოლექტივს გულთბილად შეხვდნენ ჩვენი თეატრებისა და სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები, მუშაკები, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები. სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ და ო. დიმიტრიადიმ სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

ბერძნული ტრაგედიის მსახიობებს მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი. ზეგ ჩვენი სტუმრები პირველ სპექტაკლად წარმოადგენენ ევრიპიდეს „მედეას“.

ლ. კიკნაძე.

* * *



სურათზე: შეხვედრა ბერძენ მსახიობებთან თბილისის აეროდრომზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გუშინ თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა „ბერძნული ტრაგედიის თეატრი“

ადარებდნენ მისი ტრაგედიის ერთ გმირს, რომელიც ცაში აფრინდა, რათა ღმერთების იდუმალი აზრები გაეგო.

ჩვენი მაყურებლისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ „ბერძნული ტრაგედიის თეატრს“ თავის რეპერტუარში აქვს საქართველოში კარგად ცნობილი ტრაგედია „მედეა“, რომელიც ჩვენი სტუმრების პირველი სპექტაკლია თბილისის სცენაზე. ინტერეს მოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ ანტიკურ თეატრში „მედეა“ პირველად 431 წელს იქნა წარმოდგენილი, წარმატება არ ჰქონია და მხოლოდ მესამე პრიზი მოიპოვა. მაგრამ შემდეგში ეს ტრაგედია ევრიპიდეს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოებად იქნა აღიარებული. „მედეა“ ქართულ სცენაზე რამდენჯერმე იქნა განხორციელებული. უკანასკნელად მშვენიერი სპექტაკლი შექმნა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა. სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის მედეა ერთ-ერთი საუკეთესო სახეა ამ გამოჩენილი ქართველი მსახიობის შემოქმედებაში. სწორედ ამიტომ ჩვენი მაყურებელი ინტერესით მოელის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვით „ბერძენ მედეას“. ხოლო ამ როლის შემსრულებელი „ბერძნული ტრაგედიის თეატრში“ ასპაზია პაპატანასიუ, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია, თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ტრაგიკულ მსახიობად არის აღიარებული.

„ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი დიდი მსახიობი მინახავს; მე ბედნიერება მქონდა მომესმინა გენიალური ელეონორა დუზეს შთამბეჭდავი. გულშიჩამწვდომი ხმა და დამეხახა მისი ცცხლოვანი, ანთებული თვალები. ვერავინ დამწამებს გაზვიადებას, თუ ვიტყვი, რომ ბერძენი ტრაგიკული ძსახიობის ასპაზია პაპატანასიუს სახით ჩვენმა ეპოქამ შეიძინა თავისი ელეონორა დუზე, საგანგებოდ შექმნილი ანტიკური რეპერტუარისათვის. მთელი მისი უდიდესი პოტენციალი, როგორც მსახიობისა, მთელი მისი შესაძლებლობანი — ხმისმიერი, პლასტიკური, სულიერი — განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ევრიპიდეს მედეას შესრულების დროს“, — წერდა ცნობილი საბჭოთა მწერალი მარიეტა შაგინიანი გაზეთ „იზვესტიის“ ფურცლებზე გასული წლის თებერვალში. მაშინ მოსკოვსა და ლენინგრადში პირველად იყო საგასტროლოდ ბერძნული თეატრი.

ქალაქ პირეის „ბერძნული ტრაგედიის თეატრი“, რომლის დირექტორი მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორია დიმიტროს რონდორისი, 1957 წელს შეიქმნა და სულ მალე მსოფლიოში გაითქვა სახელი.

თეატრის მთავარი ქორეოგრაფია ცნობილი ბერძენი მოცეკვავე და ბალეტმეისტერი ლუკოა. საგასტროლო სპექტაკლების მუსიკალური გაფორმების ავტორია კომპოზიტორი ვ. კიდონიატისი.

გუშინ „ბერძნული ტრაგედიის თეატრის“ მთელი დასი თბილისში ჩამოვიდა მოსკოვიდან (მოსკოვსა და ლენინგრადში ამჯერად თეატრი მეორედ იყო საგასტროლოდ). თბილისის აეროდრომზე სახელოვან კოლექტივს გულთბილად შეხვდნენ ჩვენი თეატრებისა და სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები, მუშაკები, ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები. სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ვ. ანჯაფარიძემ და ო. დიმიტრიადიმ სტუმრებს ყვავილთა თაიგულები მიართვეს.

ბერძნული ტრაგედიის მსახიობებს მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი. ზეგ ჩვენი სტუმრები პირველ სპექტაკლად წარმოადგენენ ევრიპიდეს „მედეას“.

ლ. კიკნაძე.

ქართული კულტურის დღესასწაული

თბილისის საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი მწერლისა და თეატრალური მოღვაწის გიორგი ერისთავის დაბადების 150 წლისთავი და ქართული თეატრის დღე.

14 იანვარს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საიუბილეო სალამო. სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **თ. ბუაჩიძემ.**

მოხსენებას გიორგი ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა პროფესორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **დ. გამეზარდაშვილმა.**

დასასრულ ნაჩვენები იყო რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი დადგმა „პოეზიის სალამო“. (საქდეს).

კოლეგების შეხვედრა

რუმინეთის რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები თბილისში

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურის მუშაკთა დელეგაციების ურთიერთგაცვლის თაობაზე არსებული ხელშეკრულების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იმყოფებიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე იონ პასი, ტელესტუდიის დირექტორი ალექსანდრე კორნესკუ, კომიტეტის საერთაშორისო კავშირების განყოფილების უფროსი დიმიტრე ნატუ.

ამ დღეებში რუმინელი სტუმრები თბილისს ეწვევიან. მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ სამრეწველო საწარმოებში, გაეცნენ დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებას, ნახეს ქართული ფილმები, მუზეუმები.

რუმინელი მეგობრები შეხვდნენ საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებს.

საქართველოს სსრ რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ კ. გარდაფხაძემ რუმინელ კოლეგებს გააცნო საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სტრუქტურა და კომიტეტის მუშაობის ძირითადი მომენტები.

შეიმუშავეს რუმინეთთან რადიო და ტელეგადაცემების გაცვლის 1964 წლის გეგმა.

თბილისიდან გამგზავრების წინ რუმინეთის რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ იონ პასმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— **რუმინელი რადიომსმენელები და ტელემაყურებლები უდიდეს ინტერესს იჩენენ საქართველოს გადაცემებისადმი. მათ ახარებთ ყველა თქვენი წარმატება, და ეს გასაგებიც არის. ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს ერთმანეთთან.**

ეს მეგობრობა მე-17 საუკუნიდან იწყება. შემდეგ ბესიკ გაბაშვილმა გაა-ბა დიდი სულიერი ძაფები ჩვენს ხალხებს შორის. ჩვენი მეგობრობა გამოიწრთო საერთო მტრის — გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში. ომისშემდგომი წლები რუმინელი და ქართველი ხალხის ურთიერთ სიმპათიების გაღრმავების შესანიშნავი პერიოდია. საყოველთაოდ ცნობილია რუმინელი და ქართველი მეფოლადეების, კოლმეურნეების, მეცნიერების, მწერლებისა და პოეტების. მუსიკოსებისა და კულტურის სხვა მოღვაწეების დიდი ღვაწლი ჩვენი ხალხების დაახლოების საქმეში.

ახლანდელი ჩვენი სტუმრობაც ამ მეგობრობის დადასტურებაა.

ახალი კაფე-საჩაიე

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონულ ცენტრში დამთავრდა ახალი კეთილმოწყობილი კაფე-საჩაიეს შენებლობა.

კაფე-საჩაიე სარეალიზაციოდ დამზადებს ფუნთუშეულ და საკონდიტრო ნაწარმს, იგი თვითმმსახურების საწყისებზე იმუშავებს.

ბ. ი. კოპალიანი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ-ს წევრი 1950 წლიდან, შოთა ილარიონის-ძე კოპალიანი.

კოპალიანი დაიბადა 1926 წელს ცაგერის რაიონში. 1948 წელს დაამთავრა თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი და შრომითი საქმიანობა დაიწყო როგორც ოსტატმა, ხოლო შემდეგ ინჟინერმა ორთქლმავალვაგონმეძეკეთელ ქარხანაში.

ახალგაზრდა, ნიჭიერი, ეხერგიული მუშაკი დაწინაურებულ იქნა კასუხსაგებ კომკავშირულ სამუშაოზე. 1950 წლიდან მუშაობს საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მეორე, ხოლო შემდეგ პირველ მდივნად.

1952 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მეორე. შემდეგ პირველ მდივნად. 1954 წელს გადაყვანილ იქნა პასუხსაგებ სამუშაოზე ამიერკავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილებაში. მუშაობს პარტიის ლენინის რაიკომის მდივნის თანაშემწედ.

1958 წლიდან შ. ი. კოპალიანი სამეურნეო სამუშაოზეა. იყო ქიმიურ-სილიკატურ ნაკეთობათა ქარხნის მთავარი ინჟინერი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს განყოფილების უფროსი და, უკანასკნელ ხანს, მონაკვეთრის ქარხნის დირექტორი.

შ. ი. კოპალიანი არჩეული იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატებს საქალაქო საბჭოს დეპუტატად. კარგი მუშაკი, გულსხმიერი ამხანაგი შ. ი. კოპალიანი სარგებლობდა ავტორიტეტითა და პატივისცემით.

შ. ი. კოპალიანის ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგთა და მეგობართა გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

სკოლა იუბილარი

სოხუმი. (საკ. კორ.). ამ ცოტა ხნის წინათ სოხუმის აფხაზურ სკოლას (№ 10 სკოლა) 100 წელი შეუსრულდა. ამის აღსანიშნავ საზეიმო საღამოზე, რომელიც დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა, მოვიდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პედაგოგები, სკოლის ყოფილი მოსწავლეები. საღამო გახსნა სკოლის დირექტორმა გ. ჩოკბარმა. შემდეგ სკოლის განყოფილ სახელოვან გზაზე დამსწრეთ უამბო აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ბ. თარბამ.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით იუბილარს მიესალმა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ბღაჟბა, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სტუმრები. იუბილარს მიესალმნენ სკოლის ყოფილ მოსწავლეები — ამჟამად ცნობილი მეცნიერები.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ლაკობა კითხულობს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას იუბილარი სკოლის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. საღამოზე წაკითხულ იქნა სკოლის მისამართით მიღებული მრავალი დეპეშა.

„ოქროს“ ქორწილი

ტყიბული. (საკ. კორ.). ყველა ტყიბულელი კარგად იცნობს თავიანთ თანამოქალაქეებს, 76 წლის მოხუცს, პარტიის წევრს 1926 წლიდან გრიგოლ ვარდოსანიძეს. გრიგოლმა და მისმა მეუღლემ გაიარეს სიყვარულისა ოჯახი შექმნეს. შესანიშნავი შვილები აღუზარდეს სამშობლოს — უფროსმა ვაჟმა დავითმა რამდენიმე თვის წინათ დაიცვა დისერტაცია და ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა. მეორე ვაჟი ლევანი რკინიგზის ინჟინერია. ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებას ხელმძღვანელობს. ქალიშვილი ქეთევანი კი ვეტექიმად მუშაობს მშობლიურ ქალაქში.

ამ დღეებში ბედნიერ ცოლ-ქმარს დაქორწინების 50 წელი შეუსრულდათ. ქალაქის საზოგადოებრიობამ იუბილართ „ოქროს ქორწილი“ გადაუხადა.

ᲪᲓᲔᲑᲘ, ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ოპერაცია უდანოთ

1956 წელს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პავლე ჩეპოვმა გადაწყვიტა კანზე წარმოქმნილ სიმსივნეთა და სარძევე ჯირკვლის სიმსივნეთა მოსაშორებლად ესინჯა სხვადასხვა პრეპარატები (ექსპერიმენტებში ცხოველებზე). კიბოს სიმსივნე, ვარაუდობდა მეცნიერი, პრეპარატის შეყვანის შემდეგ უნდა გამაგრდეს, რაღაც მუმიის მსგავსი გახდეს.

ცდებს წარმატება არ მოყოლია მანამდე, სანამ ჩეპოვმა ყურადღება არ მიაქცია სპირტში გახსნილ კანფოლს.

ჯანსაღ ძაღლს აცრით გადახდეს კიბოს სიმსივნის ერთ-ერთი სახეობა — გერენის კარცინომა. როცა სიმსივნე გაიზარდა, მასში პრეპარატი შეიყვანეს. მოხდა კარცინომის მუმიფიცირება — იგი გამაგრდა, შემდეგ კი ორგანიზმმა მოიშორა როგორც გარე სხეული. ყოფილი სიმსივნის ადგილას დარჩა ღია ჭრილობა, რომელმაც შემდეგ პირი შეიკრა. მკურნალობის მთელი პროცესი შეზხაპუნების მომენტიდან ჭრილობის ხრულ მოშუშებამდე დაახლოებით თვენახევარს გაგრძელდა.

შპრიცის საშუალებით სიმსივნეში შეჰყავთ პრეპარატის დოზა (მეტ წილ შემთხვევებში საკმარისი იყო ერთი შეშხაპუნება). პრეპარატი ელვის სისწრაფით ელენთავს მთელ სიმსივნეს. შემდეგ სპირტი, რომელსაც ხსნარი შეიცავს, სისხლში შეიწოვება. უსპირტოდ კანიფოლი კრისტალიზაციას განიცდის. მასთან ერთად სიმსივნის ყველა უჯრედი მუმიფიცირდება. სიმსივნე შებოჭილია, მოკლულია, გამორიცხულია ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესიდან. ახლა იგი გამაგრებული გარე სხეულია.

ცხოველებზე ცდების შემდეგ, რომლებსაც კიბოსებრი წარმონაქმნები აუცრეს, პავლე ჩეპოვმა ცადა ემკურნალა იმ ძაღლებისათვის, რომლებსაც კანისა და სარძევე ჯირკვლების კიბო თავისთავად (სპონტანურად) უჩნდებოდათ და უკითარდებოდათ. ამასთან კვლავ მიღებულ იქნა დადებითი ეფექტი.

ალექსი ვერეტენიკოვი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲓᲐᲜ

150 წლის წიგნთსაცავი

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც თავის ფონდებში მსოფლიოს ხალხთა ყველა ენაზე 14 მილიონ დაცვით ერთეულ ბეჭდვითს პროდუქციას აერთიანებს, არსებობის 150 წლისთავს აღნიშნავს.

იუბილარი ბიბლიოთეკა ყოველდღიურად 5.000-მდე ცალ ბეჭდვითი წყაროს იღებს და 75 სახელმწიფოს 2.000 დაწესებულებასთან აწარმოებს წიგნების საერთაშორისო გაცვლას. ყოველწლიურად ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს 2 მილიონამდე მკითხველი ესწრება და მათზე გაცემული ბეჭდვითი წყაროების რაოდენობა 9 მილიონამდე აღწევს. ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომელთა შორის მარტო 100-მდე სხვადასხვა დარგის მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები არიან, პრაქტიკული მუშაობის გვერდით დიდ კვლევითს მოღვაწეობასაც ეწევიან ბიბლიოთეკათმცოდნეობაში და ბიბლიოგრაფიაში, წიგნისა და ჟურნალისტიკის ისტორიის შესწავლაში და სხვა.

ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ადამიანთა მრავალი თაობის ჭკუა-გონების შემოქმედის საუნჯე, ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო კომბინატია მსოფლიოში და მეორე თავისი სიდიდით საბჭოთა კავშირში.

1814 წლიდან დაწყებული დღემდე იუბილარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს მრავალი ცნობილი პირი სწვევია და სიამოვნებით გადაუკითხავს მისი მდიდარი წიგნსაცავებიდან მიღებული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ქართველთაგან სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკის სტუმრები ყოფილან თეიმურაზ ბაგრატიონი და პეტერბურგში მცხოვრები სხვა ბატონიშვილები, სოლომონ დოდაშვილი და პლატონ იოსელიანი, ღ. ჩუბინაშვილი და ალ. ცაგარელი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა თერგდალეულები, ივანე ჯავახიშვილი და ივანე თარხნიშვილი, კ. დონდუა, ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი და მრავალი სხვანი. აკად. ნ. მარი კი 1924-1931 წლების განმავლობაში ხსენებული ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, ხოლო ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველად 1887 წლიდან ითვლებოდა. 1870 წელს ბიბლიოთეკის მკითხველთა 70-ᲔᲑ პროცენტს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობა შეადგენდა.

1893-1895 წლებში ბიბლიოთეკის ერთ-ერთი აქტიური მკითხველი ვ. ი. ლენინი იყო. ამჟამად უკვე დადგენილია, რომ ვ. ი. ლენინმა რამდენიმე შრომა დაწერა ამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს, მათ შორის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. მონოგრაფია 1899 წელს ცალკე წიგნად გამოიცა პეტერბურგში და იმავე წელს ჟურნალმა „კვალმა“ ფრიად მაღალი შეფასება მისცა მას, გააცნო ქართველ მკითხველებს გენიალური ნაშრომი. რეცენზიის ავტორი ცნობილი რევოლუციონერი ივანე ლუნინი იყო.

1890 წელს ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველთა შორის ნ. კ. კრუპსკაია იყო, რომლის შესახებ კმაყოფილებით მოგვითხრობს იგი თავის მოგონებებში.

ლ. ნ. ტოლსტოი, ჰეტერბურგში დროებით ცხოვრებისას თუ ისე, აქ ჩამოსვლისას, არაერთხელ სტუმრებია ბიბლიოთეკას და მის თანამშრომელს ვ. ვ. სტასოვს. ხშირად ლ. ნ. ტოლსტოი მიუჯდებოდა ვ. ვ. სტასოვის საწერ მაგიდას და კითხულობდა საპერო ლიტერატურას. დიდ რუს მწერალს ლ. ნ. ტოლსტოის ბიბლიოთეკის უნიკალური ფონდებით იასნაია პოლიანაშიც ამარაგებდნენ და ამ საქმეში ყველაზე მეტად მას ხელს უწყობდა მისი ახლო მეგობარი ვ. ვ. სტასოვი. ბიბლიოთეკის არქივში შემონახულია ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც ლ. ნ. ტოლსტოი მუშაობდა „აღდგომისა“ და „ჰაჯი მურატის“ შექმნაზე, მას ბიბლიოთეკიდან იასნაია პოლიანაში გაეგზავნა მრავალი ლიტერატურული წყარო და მათ შორის 1868-1876 წლებში თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული „კავკასიის მთიელებზე“ ცნობების კრებული“ და „კავკასიის კალენდარი“.

იუბილარი ბიბლიოთეკის სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილება თავის ფონდებში აერთიანებს 942.495 წიგნს, ბროშურას, ჟურნალს და ჯგუფურად დამუშავებულ მასალას და 47.931 წლიურ კომპლექტს ანუ 6.345.800 ნომერ გაზეთს. ხსენებულ განყოფილებაში თითქმის მთლიანად არის წარმოდგენილი ბეჭდვითი პროდუქცია ისეთ ენებზეც კი, რომელებსაც რევოლუციამდე თავიანთი დამწერობა არა ჰქონიათ. ასეთი ენების რაოდენობა კი 50-მდე აღწევს.

სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილებაში (ლიტერატურა რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ და ებრაულ ენებზე ამ განყოფილებაში არ შედის) ქართულ ფონდს რიცხობრივად პირველი ადგილი უჭირავს, დღესისთვის ფონდს აქვს: წიგნები და ბროშურები— 54.000 დაცვითი ერთეული, ჟურნალი 24.000 ნომერი, ჯგუფურად დამუშავებული მასალა — 5.000 საგამოძებნელო ერთეული და ნახევარმილიონი ნომერი გაზეთი. ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში 381 ერთეული ქართული ხელნაწერი ინახება, 220 ერთეული ხელნაწერი კი ჯერ კიდევ 1923 წელს გადაეცა საქართველოს.

პირველი ქართული ბეჭდვითი წიგნი ბიბლიოთეკაში 1795 წელს შემოსულა, ხოლო ქართული ხელნაწერი — 1808-1812 წლებში, ჯერ კიდევ ბიბლიოთეკის საჯაროდ გახსნამდე. ბიბლიოთეკა სავალდებულო ეგზემპლარებს 1810 წლიდან იღებს და ამან შეუწყო ხელი მისი ფონდების სრულ დაკომპლექტებას ძველთაგანვე. ბიბლიოთეკის ფონდებს მხარს უმშვენებს პირველი ქართული წიგნები, ჟურნალები, გაზეთები და შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ პირველ გამოცემა. ბიბლიოთეკის პირველი ქართველი მკითხველები თეიმურაზ ბაგრატიონი და სხვა ქართველი მეფისწულები იყვნენ, რომლებსაც საარქივო ცნობები 1814 წლიდან ასახელებს.

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის 150 წლისთავის იუბილეე მთელი საბჭოთა ხალხის კულტურის საერთო ზეიმია.

ა. აბრამიშვილი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სსრ კავშირის ხალხთა ენებზე არსებული ლიტერატურის განყოფილების გამგე.

საჭადრაკო ფესტივალი რეიკიავიკში

დიდმა საჭადრაკო პაექრობამ ჰასტინგსიდან ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში გადაინაცვლა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეს უკანასკნელი თავის შემადგენლობათა სიძლიერით უფრო მაღალ დონეზე დგას, ვიდრე სხვა საახალწლო ტურნირები. კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი სიახლე სდევს რეიკიავიკის ახპარეზობას. ეს არის მსოფლიოს ჩემპიონის — ნონა გაფრინდაშვილის პირისპირ „შებმა“ გროსმაისტერებთან, ისეთ გამოცდილ და ხაერთოდ ალიარებულ მოჭადრაკეებთან, როგორებიც არიან მ. ტალი, ს. გლიგორიჩი, ფ. ოლაფსონი.

და აი ჰასტინგსის გმირები მიხეილ ტალი და ნონა გაფრინდაშვილი, აგრეთვე იუგოსლავიელი გროსმაისტერი ს. გლიგორიჩი ლონდონიდან ისლანდიას ეწვიენ და რეიკიავიკის სასტუმრო „საგაში“ დაბინავდნენ. 13 იანვარს ეს მოჭადრაკეები, ინგლისელი ვეიდი და ცხრა ისლანდიელი ოსტატი ესწრებოდნენ რეიკიავიკის ტურნირის საზეიმო გახსნას, წილისყრას.

გუშინ კი გვიან ღამით მეტოქეები საჭადრაკო მაგიდას მიუსხდნენ, ჩაითეს საათები და ბრძოლაში ჩაებნენ. ტურნირი 7 თებერვლამდე გაგრძელდება, დაწესებულია ჯილდოები. ადგილობრივი პრესა დიდ უურადღებას უთმობს ტურნირში საბჭოთა მოჭადრაკეებს, პირველ რიგში კი მსოფლიოს ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობას.

პირველ ტურში წილისყრით ნ. გაფრინდაშვილი თეთრებით თამაშობდა ისლანდიელი ოსტატის ვიორსნონის წინააღმდეგ, მ. ტალი — იოჰანსენესთან, ოლაფსონი — კორდერსონთან. (ისლანდია).

ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘᲓᲐᲜ — ᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘ ᲥᲣᲚᲐ

დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველობა ჭადრაკში. მართალია, ჯერ კიდევ რამდენიმე ტურით ადრე გროსმაისტერ რ. ფიშერს უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდა ჩემპიონობა, მაგრამ სასინტერესო იყო ისიც. ეს ახალგაზრდა მოჭადრაკე რამდენი ქულის შეგროვებას შეძლებდა. და აი როდესაც დამთავრდა პირველობისათვის ბრძოლა, რ. ფიშერს თერთმეტი შესაძლებლიდან თერთმეტი ქულა აღმოაჩნდა, რაც უთუოდ დიდი მიღწევაა.

რ. ფიშერმა უახლოეს მეტოქეს გროსმაისტერ ლ. ევანსს 3,5 ქულით გაუსწორა და მეექვსეჯერ გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘᲠᲘ

ᲑᲐᲠᲘᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲞᲐᲢᲘᲐ